შირაქი 85

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№46 (10.051)

10—17 დეკემბერი 2022

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გაზეთი – ქარტეხილებთან ბრძოლაში გამარჯვებული





გაზეთ „შირაქის“ 85 წლისთავთან დაკავშირებით საიუბილეო ღონისძიება გაიმართა. გამომსვლელებმა გაზეთის როლსა და მისი თანამშრომლების დამსახურებაზე ისაუბრეს. აღინიშნა, რომ დედოფლისწყარო იმ გამონაკლის მუნიციპალიტეტებს შორისაა, სადაც ბეჭდვური გაზეთი დღემდე უწყვეტად გამოიცემა.

ღონისძიებაზე გააცილეს დამსახურებული ჟურნალისტი ნაირა გორაშვილი, რომელმაც რედაქციაში 52 წელი გაატარა, აქედან 31 წლის განმავლობაში ის „შირაქის“ რედაქტორი იყო. ითქვა ისიც, რომ გაზეთის შენარჩუნებაში მას დიდი წვლილი აქვს და ურთულეს წლებში, ომისა და უშუქობის პირობებში, „შირაქი“ არასოდეს გაჩერებულა.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲯᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი): „დღეს ყველა გამომსვლელი გულწრფელი იყო და ეს ბევრ რამეს გვაგრძნობინებს. მინდა ჩემი გამოსვლა სამადლობელი სიტყვებით დავიწყო. ქალბატონი ნაირა კარგი დედაა, კარგი ბებიაა და ამ ფუნქციებს გაცილებით უკეთესად შეასრულებს, რადგან მეტი დრო ექნება ოჯახისთვის. საამაყოა, რომ უწყვეტად გამოდის გაზეთი „შირაქი“. მართალია, მისი პერიოდულობა ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ხან უფრო ხშირად გამოსცემდნენ, ან პირიქით. ზოგჯერ არც ხელფასი იყო და არც დასაბეჭდი ფული, მაგრამ „შირაქი“ მაინც იყო. დღეს ის 85 წლისაა. გაზეთის იუბილესთან ერთად ჩვენ სამსახურიდან დამსახურებულად ვაცილებთ გაზეთის რედაქტორს ნაირა გორაშვილს. მიხარია და ამაყი ვარ, რომ ეს პირველი პრეცედენტია-გაზეთის არცერთი რედაქტორი, არცერთი დამსახურებული ჟურნალისტი ასე არ გაუცილებიათ, საღამო არ მიუძღვნიათ. დავინტერესდი, დავაზუსტე და ასეა. ვფიქრობ, საზოგადოებამ უნდა ვისწავლოთ მადლობის თქმა. მადლობა ქალბატონ ნაირას - ყველაფრისთვის! მადლობა იმ უდიდესი ამაგისთვის, რაც რედაქციაში გაწიეთ... ვალდებული ვართ ეს ყველაფერი დავინახოთ და დავაფასოთ. ამიტომაც მიხარია, რომ ეს საღამო შედგა. ძალიან გვიყვარხართ, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს გისურვებთ.“

ᲘᲜᲒᲐ ᲨᲘᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ (შპს „შირაქის“ დირექტორი): „მადლობა ყველას, ვინც დღეს ჩვენს საიუბილეო საღამოზე მობრძანდით, თითოეული თქვენგანი შეუცვლელია ჩვენთვის, რადგან მკითხველის აზრით იზომება ნებისმიერი მედიასაშუალების წონა. გაზეთ „შირაქის“ ოჯახს მე 1996 წელს შევუერთდი. მასთან ერთად გადავიტანე 90-იანი წლების სიმძიმე, უშუქობა, გაზეთის პერიოდულობის იძულებითი დარღვევა, „ვარდების რევოლუცია“... 23 წლის ახალგაზრდამ ჟურნალისტური პრინციპების ერთგულებაც აქ ვისწავლე და ჩემი რესპოდენტებისაც. დღემდე მახსოვს პირველად „გაწნული“ სილის გემოც და შექებისაც... მას შემდეგ 25 წელი გავიდა. წლები მეც შემემატა და გაზეთსაც... ცვლილებები ტექნოლოგიური სიახლეების პირდაპირპროპორციულად გაზეთსაც შეეხო: შავ-თეთრი გაზეთი ფერადმა და თანამედროვე დიზაინმა შეცვალა, გაიზარდა მისი მოცულობაც და ოთხი გვერდიდან – რვა გვერდიანი გახდა, გაზეთის ბაზაზე ფუნქციონირებს საგამომცემლო სახლი, სადაც ხდება გაზეთის აწყობა და დაკაბადონება, ელექტრონული ვერსიის ადგილზე მომზადება, რაც წლების წინ წარმოუდგენელი იყო. ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით გაზეთი კიდევ უფრო მეტ სიახლეს გეგმავს... 1997 წელს გაზეთ „შირაქს“ დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა და მე-9000 ნომერიც გამოვიდა. მაშინ იუბილე მასშტაბურად აღნიშნა გაზეთმა. ახლა 2022 წელია. მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებისგან დაზაფრულია საზოგადოება. ჩვენი პატარა რედაქცია კვლავ ერთ მუშტად შეკრული დგას მოვლენების ეპიცენტრში და ცდილობს, საზოგადოებას მიაწოდოს გადამოწმებული ინფორმაცია, არ გადატვირთოს ისინი ნეგატიური ემოციებით და პესიმისტური განწყობა არ გაუმძაფროს, ამ დაძაბული პოლიტიკური ვითარებისას იყოს თავადაც დაბალანსებული და ასეთივე ინფორმაციის გავრცელების წყარო. დღეს გაზეთის 85 წლის იუბილეა, გაზეთისა, რომელმაც რვაათეული წლის მანძილზე ბევრ გამოწვევას გაუძლო, მაგრამ ბერმუხასავით კვლავ ძლიერად დგას და ცდილობს, შეინარჩუნოს საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა ჟურნალისტური პრინციპების ერთგულების, სამშობლოსა და მშობლიური რაიონის სიყვარულის, ობიექტურობისა და აკადემიურობის ხარჯზე. როცა ქალბატონმა ნაირამ სამსახურში მიმიღო, მრავალრიცხოვანი და ერთიანი გუნდი დამხვდა. ბევრი ვისწავლე მათგან: ნანა ლაპიაშვილისგან ვისწავლე სკრუპულოზურობა და თითოეული ფაქტის რამდენჯერმე გადამოწმება; ანა ბენაშვილისგან ვისწავლე, როგორ გამერჩია მხატვრული და დოკუმენტური ჟანრი ერთმანეთისგან; ქალბატონი ნაირასგან ვისწავლე, რომ „მიზანი ამართლებს ნებისმიერ საშუალებას“ და თუ კარს არ გიღებენ, ინფორმაციის მოსაპოვებლად ფანჯრიდან აუცილებლად უნდა შეხვიდე; შოთა ბიკაშვილისგან აკადემიურობა ვისწავლე, კლარა ოზაშვილისგან-დიპლომატია, საბოლოოდ კი, ვისწავლე, რომ გუნდურობისა და შენი საქმის სიყვარულის გარეშე არაფერი გამოვა, მით უფრო გაზეთის გამოცემა. მადლობა, ქალბატონო ნაირა, ბევრი წლისთვის, იმ ამაგისთვის, რაც გაზეთის შენარჩუნებისთვის გასწიეთ.

დიდი მადლობა დღევანდელ გუნდს, ყველა ყოფილ თანამშრომელს. ყველას, ვისაც თუნდაც რამდენიმე თვე უმუშავია ჩვენს გაზეთში. მიხარია, რომ შეიქმნა იმის პრეცედენტი, რომ ჩვენს გაზეთშიც დავაფასოთ თითოეული ადამიანი, რომელსაც „შირაქის“ შესანარჩუნებლად ბევრი ღამე უთენებია. მადლობელი ვარ, რომ ვიმუშავე ძალიან ბევრ კარგ ადამიანთან ერთად. იმედი მაქვს, საზოგადოების თანადგომით „შირაქი“ კიდევ უფრო განვითარდება, გაახალგაზრდავდება და გაძლიერდება“.

ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲧᲝᲤᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ (გაზეთ „შირაქის“ რედაქტორი): „12 წლის წინ შევუერთდი „შირაქის“ გუნდს. მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვანია რაიონული მედიის განვითარებაში წვლილის შეტანა. ქალბატონი ნაირას მხარდაჭერით გავხდი „შირაქელი“, თუმცა მანამდეც პერიოდულად ვაქვეყნებდი სტატიებს. კარგად მესმის ბეჭდური მედიის ფასი, ამიტომ ვარჩიე მშობლიურ რაიონში მემუშავა. მიმაჩნია, რომ რაიონული

/გაგრძელება გვ.2/

C M Y K

გაზეთი – ქარტეხილებთან ბრძოლაში გამარჯვებული

/დასაწყისი პირველი გვერდიდან/

გაზეთი არაფრით ჩამოუვარდება ცენტრალურ გამოცემებს. მიმუშავია ტელევიზიებშიც, რადიოებშიც, ონლაინ მედიაშიც, მაგრამ ჩემთვის დღემდე მეტი ფასი აქვს გაზეთს. საბოლოოდ, არცერთი სხვა მედიის მასალა იმდენად სიცოცხლისუნარიანი არ არის, როგორც გაზეთის. საგაზეთო ახალი ამბები შეგვიძლია უპრობლემოდ ვნახოთ 50-60-80 წლის შემდეგაც. მართალია, თანამედროვე ტექნოლოგიები გაზეთს მკითხველს ართმევს, მაგრამ მას მაინც სხვა როლი აქვს. ვახსენე, რომ 12 წლის წინ გავხდი „შირაქელი“, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ამ 85-წლიან საგაზეთო არქივს, რაც რედაქციაში გვაქვს დაცული, ზედმიწევნით ვიცნობ და დაწვრილებით მაქვს წაკითხული ყველა წლის გაზეთი „შირაქი“. დაახლოებით 6 წლის წინ დავიწყე ასეთი რუბრიკა „შირაქის სკივრი“, რაც ძველი ამბების საინტერესო ამონარიდების მოგროვებას და ხელახლა გამოქვეყნებას გულისხმობს. ნათლად დავინახე როგორი სტილით მუშაობდა იმდროინდელი პრესა და როგორ იცვლებოდა „შირაქი“ წლების მიხედვით. ძალიან ძვირფასი და მნიშვნელოვანი არქივია ჩვენს რედაქციაში დაცული, ჩვენ ისეთ ფოტო და ტექსტურ მასალებს ვინახავთ, რომლებიც სხვაგან არსადაა. ერთ-ერთი ახალი წევრი ვარ ამ რედაქციის, მაგრამ მქონდა ბედნიერება და პირადად ვიცნობდი ბატონ შოთას, რომელმაც 2004 წელს ჩემს შესახებ პირველი საგაზეთო ინტერვიუ მოამზადა, ქალბატონებს თინასა და კლარას, ბატონ უშანგის... ცოცხლებს დიდხანს სიცოცხლე ვუსურვოთ, რადგან ყველა მათგანის ღვაწლი მნიშვნელოვანია. მადლობას ვეუბნები ყველას, ვინც იზრუნა იმაზე, რომ დღეს დედოფლისწყაროს გაზეთი ჰქონოდა. ეს საამაყოა ჩემთვის, რადგან არ არის ბევრი რაიონი, სადაც შემორჩენილია გაზეთი ამხელა ისტორიით და ასე სტაბილურად. რომ არა „შირაქი“, ალბათ ბევრად უინტერესო იქნებოდა ამ რაიონის ცხოვრება, ჩვენც არ გვექნებოდა ნათელი წარმოდგენა რაიონის წარსულ ცხოვრებაზე. ქალბატონი ნაირას წვლილის შესახებ ბევრი ითქვა, ჩემი აზრით, გადამწყვეტი იყო, რომ მან შენობა დაიცვა, რამაც გაზეთს გადარჩენის შესაძლებლობა მისცა. იმ რაიონებში, სადაც შენობა დათმეს, ფართის არარსებობის გამო გაზეთები მალევე გაქრნენ. რა თქმა უნდა, გუნდი, რომელმაც ამ წლებში უშუქობის პირობებში და საბეჭდი აპარატურის ხელით მართვით ყველა ღონე იხმარეს და გაზეთი გადაარჩინეს. მადლობა ქალბატონ ნაირას, ამ ღვაწლს შემოინახავს გაზეთის ფურცლები და ალბათ 80 წლის შემდეგ ვინმე კიდევ გადაშლის დღევანდელ გაზეთებს, კვლავაც გააკეთებს ამონარიდებს და პარალელს გაავლებს დღევანდელ და იმდროინდელ ცხოვრებას შორის. ეს კი მომავალ თაობებს საშუალებას მისცემს, დღევანდელ ყოფას გაეცნონ. ყველა იმ ნათენები ღამისთვის და შრომისთვის მადლობა, რადგან დღემდე მოგვიტანეთ, ჩაგვაბარეთ გაზეთი და გზა დაგვილოცეთ. რა თქმა უნდა, ჩვენ ვეცდებით, რა შესაძლებლობასაც თანამედროვე ტექნოლოგიები მოგვცემს, ფეხი ავუწყოთ ცხოვრებას და ღირსეულად ვატაროთ გაზეთი. მეტ მხარდაჭერას ვისურვებდი საზოგადოების მხრიდან. გაზეთი უფრო მეტ თანადგომას იმსახურებს, ვიდრე აქვს. მისი გამოწერა ერთგვარად მედიის მხარდაჭერას ნიშნავს, რაც დღეს გაზეთს ჰაერივით სჭირდება. მიღებისთვის მადლობა მინდა გადავუხადო რედაქციას ინგა შიოლაშვილის ხელმძღვანელობით. დიდი პატივია, რომ ჩემს მშობლიურ პროფესიაში დავბრუნდი და ჩემთვის ასმაგად საპასუხისმგებლოა, რომ ამხელა ისტორიის მქონე გაზეთის რედაქტორის სახელი ვატარო. ასევე მადლობა ჩემს ყოფილ თანამშრომლებს კულტურის სამსახურიდან, რომელთაც ასეთი ლამაზი საღამო გვაჩუქეს და დაგვაფასეს. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ერთგულ მკითხველს.“

ნაირა გორაშვილი: (გაზეთ „შირაქის“ ყოფილი რედაქტორი): „ღმერთმა სიკეთით გატაროთ. ვისურვებდი, გაზეთი ბეჭდური სახით დიდხანს ყოფილიყოს. მესმის, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებმა გაზეთს ბევრი მკითხველი წაართვა, მაგრამ დედოფლისწყაროში დღესაც მრავლად ცხოვრობენ ადამიანები, რომელთათვისაც ბეჭდური მედია ჰაერივით აუცილებელია და ყოველი ნომრის გამოსვლას მოუთმენლად ელიან. ესაა საზოგადოება, რომელიც მოწყდა აქტიურ ცხოვრებას, აღარც სამსახური აქვს, გამოიკეტა სახლში და მათთვის საზოგადოებასთან დამაკავშირებელ საშუალებად მხოლოდ გაზეთი დარჩა. ასე იყო იმ ძნელბედობის ჟამსაც, ბნელი 90-იანები რომ ეწოდება. ბევრჯერ უთქვამთ, როგორ გაძელით, რანაირად მოახერხეთო? დრო შეგვხვდა საომარი და ჩვენც ვიბრძოლეთ. მოვიგეთ კიდეც! ბევრი ისეთი წინააღმდეგობა გადავლახეთ, ახლა რომ ვიხსენებ, ვერც წარმომიდგენია, რომ ეს ცხადი იყო და არა სიზმარი. თუ არ იქნებოდა შენობა, აღარ იქნებოდა რედაქციაც. ეს მე კარგად მესმოდა. მიდიოდა პრივატიზაციის პროცესი, ყველაფერი გაიყიდა. მათ შორის გამოცხადდა ჩვენი შენობის პრივატიზაციაც, რომელიც სტამბის ბალანსზე იყო და არცერთი კვადრატული მეტრი რედაქციაზე რეგისტრირებული არ ყოფილა. მივხვდი, რომ აუცილებელი იყო, პირველ რიგში, ეს მომეგვარებინა. როცა სამინისტროში მივდიოდი, იმჟამინდელი ქონების მართვისა და პრივატიზაციის სამსახურის უფროსი ომარ ალუღიშვილი მეუბნებოდა, ფეხსაცმელს ნუ გაცვეთავ, ამ საქმიდან არაფერი გამოვაო. თუმცა, გამომივიდა!

ჩავედი თბილისში, ფეხით მივედი სამინისტროში, ყველაფერი გაყინული იყო. მთელი დღე ველოდე მინისტრს, რომელიც მოვიდოდა თუ არა, არ ვიცოდი. დაღამდა, ყველა წავიდა, მეც მითხრეს წადიო. არ წავალ-მეთქი და მხოლოდ მე და დარაჯი დავრჩით. ვიღაც ფარნით მოვიდა და მკითხა, რატომ ხართ აქო? მინისტრს ველოდები-მეთქი, ვუთხარი. აბეზარასავით დამემართა, თურმე ის ყოფილა მინისტრი. კაბინეტში შემიყვანა და ყველაფერი ავუხსენი. მინდა მადლობა ვუთხრა რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელობას და განსაკუთრებით ბაჩუკი გონაშვილს, რომელიც საკუთარ ძმასავით მედგა მხარში. მისი რეკომენდაციები, ჟურნალისტთა ფედერაციის წერილები დავურთე და მინისტრს დავუწყე წინ. ამის გამო შენობა უფასოდ გადაეცა რედაქციას და შემდგომში ამან განაპირობა ის, რომ გვაქვს საკუთარი ჭერი. მართალია გაყინულ ოთახებში ვისხედით, დიზელის საწვავით ვთბებოდით და მისი სუნით გაჟღენთილები ვიყავით, მაგრამ საკუთარ ჭერქვეშ მყარად ვიყავით. ახლა აღარც გვცივა, აღარც გვცხელა, საკუთარი კომპიუტერული ცენტრი გვაქვს. ძალიან გაიოლდა ყველაფერი, მაგრამ ამ ყველაფერს დღემდე მოტანა უნდოდა. უამრავი რამის გახსენება შემიძლია. თითოეული კაპიკის მოპოვებისთვის რამდენი მიბრძოლია. ჩემი კოლექტივი მხარში მედგა. მინდა თავიდან დავიწყო და მადლობა ვუთხრა იმ კოლექტივს, რომელმაც მე სამსახურში მიმიღო, გოდერძი ტოკლიკიშვილის ხელმძღვანელობით. იმ დიდებულმა ადამიანებმა მასწავლეს, რომ გუნდურად უნდა იმუშაო, თუ გინდა წარმატებული იყო. ასევე მადლობა მინდა ვუთხრა იმ კოლექტივს, რომელიც 90-იანებში ჩემთან ერთად იბრძოდა. მადლობა მინდა ვუთხრა და გზა დავულოცო დღევანდელ ახალგაზრდა კოლექტივს. მადლობა ყველას, რომ მობრძანდით და მომისმინეთ. მართალია აღინიშნა, რომ ასაკი არ მეტყობა, მაგრამ სიბერე სხვა რამე ყოფილა. ღმერთმა ყველა ბედნიერად დაგაბეროთ. უღრმესი მადლობა ყველაფრისათვის“.

გ ზ ა ვ ნ ი ლ ე ბ ი

მანანა ყატაშვილი, **(ყოფილი „შირაქელი“):** მინდა ყველა მოქმედ და ყოფილ „შირაქელს“, ყველა დედოფლისწყაროელს მივულოცო გაზეთ „შირაქის“ 85 წლის იუბილე. ვფიქრობ, ამ ასაკის რაიონული გაზეთი საქართველოში ბევრი არ არის, რადგან ასეთი გაზეთების უმრავლესობა გასული საუკუნის 90-იანი წლებში დაიხურა ეკონომიკური კრიზისის გამო. გაზეთში მუშაობა 30 წლის წინ, 1992 წელს დავიწყე. ქალბატონი ნაირა გორაშვილი რედაქტორად ახალი დანიშნული იყო. რედაქციაში ამ დროს მუშაობდნენ: ანა ბენაშვილი, შოთა ბიკაშვილი, თინა ფავლენიშვილი, კლარა ოზაშვილი, რენე ჭრელაშვილი, უშანგი წყარუაშვილი, ნიაზი ჯანაშვილი, მზია ქენქაძე, ნათელა ბოსტაშვილი. რედაქციას მხარში ედგა ადგილობრივი სტამბა ჯერ ვაჟა ცქიტიშვილის, შემდეგ - გოგი პოპიაშვილის ხელმძღვანელობით. მოგვიანებით შემოგვემატნენ ინგა შიოლაშვილი, ნანა ლაპიაშვილი და სხვები.

ამ ადამიანებმა ბევრი რამ, ხშირად შეუძლებელიც კი, გააკეთეს გაზეთის ფიზიკურად გადასარჩენად, კორესპონდენტები, ერთდროულად, რამდენიმე მასალას ვამზადებდით, ელექტროენერგია ღამით რომ მოვიდოდა, ჩვენც ღამით მივდიოდით სტამბის თანამშრომლებთან ერთად გაზეთის ასაწყობად და კორექტურის გასაკეთებლად, ერთი ძველი კასეტებიანი მაგნიტოფონით „ელექტრონიკა“ და უძველესი დიქტოფონით „რეპორტიორი“ ანა ბენაშვილთან ერთად ადგილობრივ რადიოგადაცემებს ვწერდით და „ვამონტაჟებდით“ ეთერში გასაშვებად... ფინანსური დამოუკიდებლობის მისაღწევად, ყველა ერთად ვმუშაობდით გაზეთზე ხელმომწერთა რიცხვის გასაზრდელად და სხვა.

ამ წლებში ქალბატონი ნაირას და სხვა უფროსი და გამოცდილი კოლეგების დახმარებით შევიძინე ბევრი საჭირო უნარი: ყველა მასალის მოსამზადებლად წინასწარ მომზადება და ინფორმაციის მოძიება, ერთხელ დაწერილის ასჯერ გადაკითხვა, წყაროების და ციტატების აუცილებელი შემოწმება, ობიექტური და კორექტული კრიტიკა და სხვა.

დავრწმუნდი, რომ სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ნამდვილად უწყობს ხელს დემოკრატიული სახელმწიფოების განვითარებას. ამის ერთ-ერთი კარგი მაგალითია გასული საუკუნის 90-იანი წლების გაზეთი „შირაქი“. ამ დროს, როცა არ იყო დენი, გაზი, წყალი, ტელევიზია, ქვეყანაში მეფობდა გაჭირვება და სიბნელე, გაზეთი იყო დედოფლისწყაროელების იმედი, ნუგეში და, ხშირად, ინფორმაციის ერთადერთი წყაროც. გაზეთი აშუქებდა ადგილობრივი საზოგადოების ყველა პრობლემას, მთელი გაზეთი რაიონის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს გაშუქებაზე იყო ორიენტირებული, ვცდილობდით, ადამიანებისთვის იმედი და ნუგეში ჩაგვენერგა, შავ-თეთრ გარემოშიც კი გვეპოვა ლამაზი ფერები, გვეპოვა იუმორის ძალა; იწერებოდა ყველაფერზე: თბილისის ომი, აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომები, ომის გმირები, დედოფლისწყაროში ჩამოსული იძულებით გადაადგილებული პირები, პურის დეფიციტი თუ დაბალი ხარისხი, ელექტროენერგიის მიწოდების ქრონიკულად დარღვეული გრაფიკი, სოციალურად დაუცველი ადამიანების პრობლემები თუ კირქვის ახალი კარიერის ლიცენზიის საკითხი, ადგილობრივი სპორტსმენების წარმატება თუ ახალი სპორტული კლუბის გახსნა, ან ზეიმი საბავშვო ბაღში. ვწერდით ახლად ჩამოყალიბებული მრავალფეროვანი პოლიტიკური პარტიების თუ რაიონში არსებული პრობლემების თაობაზე, რომელსაც ხშირად ეს უკანასკნელნიც ხელისუფლებას კი არა, რატომღაც გაზეთს აბრალებდნენ. სამოქალაქო ორგანიზაციების არარსებობის პირობებში გაზეთი იყო აქტიური ადამიანებისთვის მხარში მდგომი იმედი და მათი აზრის გამოხატვის საშუალება.

დედოფლისწყაროში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი პირველი აქტივობა გაზეთის რედაქციის კარების აჭედვა და ყოფილი რედაქტორის, ბატონი გოდერძი ტოკლიკიშვილის გათავისუფლების მოთხოვნა იყო.

ახალი ლიდერები ხვდებოდნენ, რომ გაზეთი ბრძოლის მნიშვნელოვანი იარაღი იყო. ამიტომაც იყო, რომ ზოგმა ადგილობრივმა ლიდერმა ალტერნატიული გაზეთის თუ უშუქობაში ე. წ. „ტელევიზიის“ დაარსება სცადა, ზოგმა რედაქციის მუშაკების ლამის „საბრალდებო სკამზე“ დასმა მოიწადინა, ზოგმა „დახურვა“ დაგვიპირა, ზოგმა პოლიტიკურმა პარტიამ კი, თავისი ოპოზიციური დამოკიდებულების გამოხატვის ნაცვლად, გაზეთს მოსთხოვა ადგილობრივ ხელისუფლებასთან აშკარა დაპირისპირებაში შესვლა. იყო პერიოდი, როცა გაზეთ „შირაქის“ აჭედილი კარების გახსნა არ შეეძლოთ

ადგილობრივ ხელისუფლებას და სამართალდამცავ სტრუქტურებს და ერთ-ერთ პოლიტიკურ პარტიას ვთხოვდით დახმარებას. თუმცა, ისეთი წლებიც იყო, როცა ადგილობრივი ხელმძღვანელობის დახმარებით 1997 წელს შევძელით გაზეთის საიუბილეო 60 წლისთავის საკმაოდ მასშტაბურად და წარმომადგენლობითად აღნიშვნა.

იმ ამბავში, რომ გაზეთი „შირაქი“ ამ ქარტეხილების მიუხედავად, დღემდე არსებობს და დროებითაც კი არ შეუწყვეტია არსებობა, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ უდიდესი წვლილი მიუძღვის მის სტაჟიან რედაქტორს - ქალბატონ ნაირა გორაშვილს, სწორედ მისი გამოცდილების, მაღალი პასუხისმგებლობის და პროფესიონალიზმის, კორექტულობის და ლავირების უნარის წყალობით მოვიდა გაზეთი დღემდე.

ახლა როგორც ორგანიზაციას, მას აქვს საკუთარი სამუშაო ფართობი, ჰყავს ახალგაზრდებით დაკომპლექტებული კოლექტივი და აგრძელებს რაიონის პრობლემების გაშუქებას. კიდევ ერთხელ მინდა მივულოცო გაზეთის კოლექტივს, ახლა უკვე ქალბატონი

/გაგრძელება გვ.3/

გაზეთი – ქარტეხილებთან ბრძოლაში გამარჯვებული

/დასაწყისი გვ.2/

ინგა შიოლაშვილის ხელმძღვანელობით, საიუბილეო თარიღი და პროფესიული წარმატებები ვუსურო მათ“.

კლარა ოზაშვილი, ყოფილი „შირაქელი“: - „ექიმობაზე ვოცნებობდი, საბუთებიც სამედიცინოზე შევიტანე, მაგრამ 1965 წელს ხაზის რადიოში რედაქტორად მიმიყვანეს, 3-4 წელში გოდერძი ტოკლიკიშვილმა გაზეთ „შირაქში“ გადმომიყვანა. მანამდეც რადიოსთვის მომზადებულ მასალებს გაზეთიც აქვეყნებდა, მიუხედავად იმისა, რომ არაპროფესიონალი ვიყავი, ალღო ადვილად ავუღე. ძალიან დიდ დახმარებას მიწევდა შოთა ბიკაშვილი. ჩვენ ერთ კაბინეტში ვისხედით, რომ დავწერდი, წავაკითხებდი და რჩევებს მაძლევდა, ჩემს განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა და ამისათვის მადლობელი ვარ. 40 წელი გავატარე რედაქციაში და ამით ბედნიერი ვარ. სხვა სფეროში ალბათ არც გადავიდოდი სამუშაოდ. შექმნილი იყო „სახალხო კონტროლის“ საბჭო, სტამბა-რედაქციის თანამშრომლები, რაიკომისა და პოლიციის წარმომადგენლები, დეპუტატი და სხვადასხვა მუშაკები ინსპექტირებას ვახდენდით საწარმოებში და ნაკლოვანებებს ვწერდით. ამირან გონაშვილის დროს ყოველთვის რეაგირება ხდებოდა და ბიუროზე განიხილავდნენ ჩვენს მიერ აღმოჩენილ საკითხებს, ზოგს საყვედურს აძლევდნენ, ზოგს სჯიდნენ. აუცილებლად ხდებოდა რეაგირება. რომ გაიგებდნენ, კლარა ოზაშვილი მოდისო, ზოგი იმალებოდა, ზოგიც მეზობელ სოფლებს ატყობინებდა შემოწმებაზე დადიანო. როცა ვიცოდი, რომ მელოდნენ, ვიზიტს გადავდებდი-ხოლმე, რომ მოულოდნელი ყოფილიყო. ხშირად გვამოწმებდნენ ჩვენც და გაზეთსაც და კმაყოფილები იყვნენ, შინაარსით ყოველთვის სჯობდა სხვა რაიონულ გაზეთებს. ვუღოცავ იუბილეს ჩემს გაზეთს, წარმატებები და ტირაჟის ზრდა მინდა გისურვოთ. ახალმა თაობამ ახალი ენერგია უნდა შეიტანოთ, რომ ახალგაზრდები მოიზიდოს გაზეთმა და უფრო საინტერესო გახდეს. მუდამ სიმართლის სადარაჯოზე უნდა იდგეთ. როცა „შირაქიდან“ წავედი, დეპრესია დიდხანს გამყვა, ძალიან განვიცადე, ვერ წარმომედგინა, რომ გაზეთში აღარ ვიქნებოდი“.

უშანგი წყარუაშვილი: „1957 წლის ივნისში გადმოვედი წითელწყაროში, გვითხრეს ოზაანი, ქედები, ჯაფარიძე, ამოარჩიეთ სამოსახლო ადგილიო. მეტბა მომეწონა და ხალხის თბილი მიდგომა, ამიტომაც ჯაფარიძეში დავსახლდი.

მანამდე სიღნაღის გაზეთში ვბეჭდავდი. ეს გაიგო რაიკომის მდივანმა ამირან გონაშვილმა და დამიბარა. მას დიდი წვლილი მიუძღვის, რომ სიღნაღთან შეერთებული გაზეთი მოგვიანებით ისევ გამოეყო და ცალკე გააგრძელა გამოცემა. ამირანმა ყველაფერი გააკეთა და ბევრი იარა ამისათვის. მისი და აღმასკომის პირველი მდივნის დამსახურებით ეს საკითხი მალე გადაწყდა. 1965 წლიდან ვიყავი „შირაქში“, კარგი კაცი იყო მაშინდელი რედაქტორი გოდერძი ტოკლიკიშვილი. გამოცდები ჩაგვაბარებინეს, მოიყვანეს გამომცდელები და დამავალეს, რომ საკვების ქურდობასა და ასეთ საკითხებზე დამეწერა. დავწერე, მშვენიერი მასალა გამოვიდა და ეს დაიბეჭდა „ახალ შირაქში“ და შემდეგ „ნიანგშიც“. „შირაქში“ ჯერ კორექტორად ვიყავი, შემდეგ ლიტმუშაკად გადავედი და მერე უკვე რედაქტორის მოადგილე ვიყავი. ოზაანელი ჯემალ მეხრიშვილი რომ წავიდა, მან მითხრა, შენ გადადიო, არავინ ნათესავი არ მყავდა, მაგრამ შეთანხმდა მდივანთან და გადავედი. რედაქციამ განათლება და ხალხის სიყვარული მომცა. სადაც წყარუაშვილს გაიგებდნენ, ყველა მცნობდა და ვუყვარდი. ხალხის სიყვარული კი ბევრს ნიშნავდა. 1990 წელს დავტოვე „შირაქი“, არ მინდოდა, მაგრამ გამომიშვეს. კარგი კოლექტივი გვქონდა რედაქციაში, ბედნიერი წლები იყო, 25 წელი ამ გაზეთში გავატარე. ხელფასი 90 მანეთი იყო, მაგრამ მაშინ ფასებიც შესაბამისი იყო, მაგალითად, ხორცი 2 მანეთი ღირდა. რედაქციაში სულ იბეჭდებოდა ჩემი მოთხრობები. გაზეთის სიტყვას მეტი ძალა ჰქონდა, ვინმეზე ცუდს თუ დავწერდით, ის თანამდებობაზე აღარ იქნებოდა. დილით ელოდნენ გაზეთს და რეაგირებდნენ. დავდიოდი სოფლებში, პარტიულ კრებებზე, ორგანიზაციებში, ჩამოსულ სტუმრებს ვმასპინძლობდი. თითო გაზეთში სამი-ოთხი ჩემი წერილი მიდიოდა. ძალიან მიყვარდა რედაქცია, შოთა ბიკაშვილი მჯობნიდა, მაგრამ საორგანიზაციო საქმეებს მე ვუძღვებოდი. ძალიან ნიჭიერი კაცი იყო შოთა. მწერლები ისე არ ჩამოდიოდნენ, ჩემთან შეხება არ ჰქონოდათ. იმ პერიოდში ბევრ მწერალთან დავამყარე კავშირი, მჩუქნიდნენ წიგნებს. მაშინ სხვა დრო იყო, მედია მეტად პარტიული და ცალმხრივი იყო. ახლა ბევრად პროფესიონალი და განვითარებულია ქართული ჟურნალისტიკა, ძლიერი თაობაა, ცხოვრებას ფეხი აუწყო პრესამ, „შირაქი“ ძალიან გამოღვიძებულია, მომწონს ახალი თაობის მასალები, საინტერესო სტატიები იბეჭდება. გაზეთი მაინც სულ სხვაა, ყოველ ორშაბათს ველოდები. მიმაჩნია, რომ გაზეთები მკითხველს კარგავენ, მაგრამ მათ შემოსაბრუნებლად რედაქციამ ლიტერატურული და იუმორისტული მასალები ხშირად უნდა გამოაქვეყნოს, რითიც ინტერესი გაიზრდება. ვეტერანი ხალხის აზრი ხშირად იკითხოს, ერთმანეთი დავაფასოთ და წავახალისოთ“.

ანა ბენაშვილი, ყოფილი „შირაქელი“: „ჩემთვის გაზეთი „შირაქი“ საოცრად მშობლიურია. გაზეთში მე 1983 წელს მივედი, მაშინ ჯერ კიდევ კომუნისტური წყობა იყო და გაზეთ „შირაქის“ რედაქტორის პოსტს გოდერძი ტოკლიკიშვილი იკავებდა. მალე დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და 90-იანი წლები. ამ წლების მთელმა სიმძიმემ და ქარტეხილებმა გაზეთის კოლექტივის მხრებზე გადაიარა, რომლის ნაწილი მეც ვიყავი. ერთად ვიბრძოდით მე და ნაირა გორაშვილი, ერთად გვიწევდა შეხვედრა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან და სიტუაციის დათბობა-დალაგება. მაშინ პოლიტიკური ბრძოლის ეპიცენრში იყო გაზეთი. გვახსოვს უხელფასობის პერიოდიც, მაგრამ არც ერთს სამსახურში სიარულზე უარი არ გვითქვამს, ერთად ვიბრძოდით გაზეთის გადასარჩენად!

დღეს მიხარია, რომ გაზეთი „შირაქი“ კვლავ ერთ გუნდადაა შეკრული და ახალგაზრდული ენერგიით აღვსილი ფუნქციონირებს. მადლობა ჩემს „შირაქელებს“ იმ სითბოსა და სიყვარულისთვის, რომელიც ყველა მათგანისგან მიმიღია. კვლავაც წარმატებები გაზეთს!

ეკატერინე ფავლენიშვილი, მწერალი: „ვუღოცავ ჩემი მშობლიური დედოფლისწყაროს გაზეთ „შირაქს“ 85 წლის იუბილეს! ძნელბედობისას მრავალი მისნაირი დაიხურა, მაგრამ ჩვენი „შირაქი“ ქიზიყელი იყო, ქიზიყელები გამოსცემდნენ და მისი დახურვა ასე იოლი არ აღმოჩნდა. ქიზიყელები შაჰ აბას I-მა ვერ მოტეხა და 90-იანები მოტეხავდა?! სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მართავდა გაზეთს ქალბატონი ნაირა გორაშვილი, რომელიც დღეს საზეიმოდ გავაცილეთ. ნაირა დეიდა, გიხდით მადლობას თქვენს მიერ ნაკეთები აუარებელი სიკეთის გამო, ჩვენი „შირაქის“ გამო, იმის გამო, რომ ჩვენი რაიონის გულისცემისათვის ყური არ მოგიცილებიათ. მე, პირადად, მადლობას გიხდით თინა ფავლენიშვილზე ზრუნვის გამო, იმის გამო, რომ თქვენ იყავით ერთადერთი, ვინც თინა ბაბო ხმით დაიტირა. მახსოვს თქვენი შემოსვლა, უნებლიეთ წამსკდარი ტირილი და თავისთავად ამოხეთქილი „ჩემო თინანო“... ბედნიერი მეგულებოდეთ! „შირაქს“ კი მრავალჟამიერ სიცოცხლეს ვუსურვებ!“

ლეილა ნავროზაშვილი, ერთგული მკითხველი, სოფელი გამარჯვება:

„დაბადების დღეს გილოცავ,
85 წლისა ხარ,
მრავალ ჭირ-ვარამნახულო,
მაინც ამაუად დგახარ!
იმდენი წელი გეცოცხლოთ,
რამდენიც თქვენს გულს ახარებს,
ახალ-ახალი ნომრებით
მკითხველი კვლავ გაახარეთ!
კურთხეულ იყავ, დიდო შირაქო,
მრავალჟამიერ,
ახალი ამბების მაცნევ,
ჩემს ტანჯულ საქართველოზე
სიკეთის ხმები გვამცნე!“

ზემოთხვევითოზიდან – დიდ მწერლობამდე

„ყველაფერი ფასანაურში დაიწყო. წავიყვანე ჩემი და მამიდაშვილის ბავშვები. ფასანაურიდან ჩარგალში ჩავედით. იქიდან რომ ვბრუნდებოდით, გადასახვევთან იახსრის სალოცავისკენ მიმავალი გზა მკითხეს. მეც, რა თქმა უნდა, მივასწავლე. ბავშვობიდან ვიცი, რომ ლაღი იახსრის სალოცავი შუაფხოშია. გზა მივასწავლე, გამოვბრუნდი, მაგრამ ფიქრებმა წამიყვანა სალოცავში, ფშავში, სადაც ბევრჯერ ვარ ნამყოფი. ასე დაიბადა პირველი მოთხრობა „გორნი“. თუმცა, თავიდან ეს მოთხრობად არ ჩამიფიქრებია. ჩავთვალე, რომ ეს იყო ამბავი, რომელიც ხალხს უნდა სცოდნოდა. მოკლედ, ფასანაურში დავწერე ეს მოთხრობა და ფეისბუქზე დავდე პოსტის სტატუსით. მოვიკითხე ის ქალი და ვთხოვე ჩემს ფეისბუქ მეგობრებს, რომ თუ ვინმეს ინფორმაციაა ჰქონდა ამ ქალბატონის შესახებ, შემხმიანებოდნენ. ეს იყო ფეისბუქის პოსტად გათვლილი ამბავი და არა მხატვრული ნაწარმოები. თუმცა, ის მალე გასცდა სოციალური ქსელის პოსტის საზღვარს და საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამ ამბავმა, ჩარგალმა და ფშავმა ჩემი დიდი ბებია გამახსენა, რომელსაც ჩვენს ოჯახში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. აღმოჩნდა, რომ ეს მოთხრობაც წიგნშია შეტანილი. თუმცა, მე მათ კლასიკური გაგებით, მოთხრობას ვერ დავარქმევ. ახლა უფრო ვფიქრობ ნამდვილ მწერლობასთან ზიარებას“...

ეკატერინე ფავლენიშვილი ჩვენმა მკითხველმა გაზეთ „შირაქის“ წინა ნომრებიდან გაიცნო. სოციალურ ქსელში პოსტების და სტატუსების ფორმით დაწყებულმა ჩანაწერებმა წიგნის სახე მიიღო და მკითხველს გული კვლავ გაუთბო.

9 დეკემბერს დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ეკა ფავლენიშვილის წიგნის „საწუთროს მარგალიტები“ პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ეკას ოჯახის წევრები, მეგობრები, პედაგოგები...

ლალი გურასპაული, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი: „გაღიმებულ სახეებს რომ ვხედავ, ნამდვილად ძალიან მიხარია. თქვენ იცით, რომ დღეს შევხვდით ძალიან კარგ, ჩვენს ადამიანს. ისაა ადამიანი, რომელმაც ჩვენ ბავშვობაში დაგვაბრუნა. ისევე მხიარულად, როგორ სახეებსაც ვხედავთ დღეს ჩვენ აქ. მან გვამოგზაურა იმ ჯადოსნურ სამყაროში, რომელსაც „საწუთროს მარგალიტები“ ჰქვია. ამ წიგნში, მართლაც საწუთროს მარგალიტებია შეკრებილი და ყველას გულსა და სულს რომ ესიამოვნება, ისეთი ისტორიებია გადმოცემული. მადლობა ეკას დაუვიწყარი ემოციებისთვის.“

ეკატერინე ფავლენიშვილი, წიგნის ავტორი: „აქ დამსწრეს საზოგადოებისთვის ჩემი ბიოგრაფია უცხო და ახალი არ არის. თუ ვინმემ არ იცით, დავიბადე 1971 წელს, ვარ 52 წლის. ასე რომ, თავს ვერ მოვიწონებ, წერა ნაადრევად არ დამიწყია. ნაადრევად ჯერ არაფერი გამიკეთებია, ყოველთვის ყველაფერს ვაგვიანებდი. აქ ბევრმა იცის ეს წიგნი, ბევრს უკვე აქვს ინფორმაცია ჩემი წიგნის შესახებ. მასში აწ უკვე მოთხრობად წოდებული ჩანაწერებია, რომლებიც პოსტების სახით ქვეყნდებოდა სოციალურ ქსელში. სწორედ ამ სივრცეში არსებულმა თანადგომამ და წაქეზებამ მოიტანა ამ სტატუსების და პოსტების წიგნად შეკვრა და დაბადება. იმაზე მეტი, ვიდრე ამ წიგნზე მაქვს სათქმელი, მე მაქვს სათქმელი თქვენზე, თქვენს დამოკიდებულებაზე ჩემი ჩანაწერების მიმართ. არ ველოდი ხალხისგან ასეთ გამოხმაურებას. არ ველოდი იმიტომ კი არა, რომ ხალხში არ ველოდი ამის სურვილს ან დიდ წიგნიერებას, უბრალოდ, არ მიმაჩნდა, რომ რაღაც დიდს ვაკეთებდი, თანადგომა და სიყვარული რომ გამოეწვია. კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, იმისათვის, რომ ჩვენ ერთმანეთს დავუმტკიცოთ ვინ ვართ, რანი ვართ, ან რა დამოკიდებულება გვაქვს ერთმანეთის მიმართ, რაღაც ასპარეზი უნდა შევიქმნათ. ამ წიგნში მოთხრობილი ამბები, სიმართლეს შეესაბამება. ისინი მუდმივად ტრიალებდა ჩემში, მაგრამ სიტუაცია როდესაც შეიქმნა, მაშინ მიიღო ამ ამბებმა მოთხრობის ფორმა“ .

რეზო ინანიშვილის სახელობის კონკურსში მონაწილეობის ორჭოფობა ლალი მასწავლებლის (მანგოშვილი) სიტყვებმა დააძლევინა და მიახვედრა, რომ ჯანსაღი ამბიცია სულაც არაა ცუდი. ისეთ ასაკშიც არ იყავო, წაგების რომ შეშინებოდა. თანაც აცნობირებდა, რომ საქართველოში, მწერლობასა და სიმღერაში გაჯიბრება ცოტა რთულია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კონკურსზე მოთხრობა ალალბედზე, მაგრამ მაინც გაგზავნა. ამ კონკურსზე საპატიო სამეულში აღმოჩნდა.

„ყველას ძალიან დიდი მადლობა, ვინც დრო გამონახა და ჩემს საღამოზე მობრძანდა, ვინც ჩემი სიხარული გაიზიარა. ამის შემდეგ წერას თუ კვლავ განვაგრძობ, სწორედ ამ დამოკიდებულების დამსახურება იქნება, რადგან ჩემს ცხოვრებაში მწერლობა განწყობამ მოიტანა. საკუთარ თავს იმ ბავშვს ვადარებ, ლაპარაკის დაწყება რომ უჭირს და სამეტყველო აპარატის ჩამოყალიბებას ელოდება- მთელი ცხოვრების ნაგროვები ინფორმაცია რომ გადაამუშავოს, ყველას მოეფეროს, ვინც ენატრება და ამით, მშობლიური კერა არდავიწყების საფარველში გაახვიოს’.

ეკატერინე ფავლენიშვილმა გაიხსენა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლილი თაბაგარი, რომელსაც მისი ერთ-ერთი პირველი საგაზეთო ჩანახატი მიუძღვნა „ქალთა გაზეთში“.

/გაგრძელება გვ.5/

საქველმოქმედო კონცერტი მეუფე დიმიტრის სულის უკვდავსაყოფად

26 ნოემბერს დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსის, მეუფე დიმიტრი კაპანაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. კონცერტი ქორეოგრაფიულ ანსამბლ „გიორგელების“ ინიციატივით შედგა და მასში სხვადასხვა ნომრები იყო წარმოდგენილი.

მეუფე დიმიტრი დაიბადა 1975 წლის 19 ივნისს ხარაგაულის რაიონის სოფელ ხორითში. 1992 წლიდან იწყება მისი სულიერი მოღვაწეობის ისტორია. ბერად აღიკვეცა 1995 წლის 16 დეკემბერს, 1996 წლის 10 მარტს აკურთხეს დიაკვნად, ხოლო მღვდლად 1997 წლის 12 იანვარს. 2002 წლის 11 ოქტომბერს ოქროს ჯვრით დააჯილდოვეს და იღუმენის წოდება მიანიჭეს, ხოლო 2008 წელს კი -არქიმანდრიტის. 2013 წლის 11 ოქტომბერს არქიმანდრიტი დიმიტრი გამორჩეულ იქნა მარგვეთისა და უბისის ეპარქიის ეპისკოპოსად, ხოლო 2013 წლის 27 ოქტომბერს მცხეთაში, სვეტიცხოვლის

საკათედრო ტაძარში ეპისკოპოსად აკურთხა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მთავარეპისკოპოსმა მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტმა ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა-ილია II-მ. 2015 წლის 12 იანვრიდან 2022 წლამდე ეპისკოპოსი დიმიტრი ხორნაბუჯის ეპარქიას ედგა სათავეში. ამ პერიოდში აშენდა დედათა და მამათა რამდენიმე მონასტერი, გაძლიერდა ეპარქია და სასულიერო ცხოვრება.

მეუფე დიმიტრის სახელს უკავშირდება დედოფლისწყაროში მრავალი ტაძრის მშენებლობის დაწყება, სკოლა-ინტერნატის აღორძინება და ისტორიულ ჰერეთში ქრისტიანი მრევლისთვის მნიშვნელოვანი პირობების გაუმჯობესება. სასულიერო ცხოვრება განვითარდა დედოფლისწყაროს ბევრ სოფელში და სწორედ მეუფე დიმიტრის დამსახურებით მირზაანსა და სამრეკლოში დედათა მონასტრები შეიქმნა.

მეუფე განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატისადმი, რადგან მიაჩნდა, რომ ამ სკოლაში უნდა აღზრდილიყვნენ პატრიოტი, სამშობლოსათვის თავდადებული და ეკლესიის ერთგული ადამიანები.

დიმიტრისთან გატარებული ბედნიერი, სილაღითა და სიყვარულით გატარებული წლები, დღეები და საათები საშინელი ტრაგედიით დასრულდა. 2022 წლის 23 იანვარი არის დღე, როდესაც მეუფემ დაგვტოვა ამქვეყნად ადამიანები, ვისაც გვიყვარდა. ამ ტკივილის გადმოცემა სიტყვებით ძნელია, თითქმის შეუძლებელიც.

სცენაზე ქართული ხალხური ცეკვების მრავალსაუკუნოვანი ისტორია „გიორგელებმა“ გააცოცხლეს, რომელსაც დედოფლისწყაროელები თავდაპირველად ანსამბლ „იმედის“ სახელით იცნობენ. ანსამბლი „იმედი“ 2008 წელს შეიქმნა. 2018 წელი მძიმე აღმოჩნდა არამარტო ანსამბლისათვის, არამედ მთლიანად დედოფლისწყაროსთვის. ანსამბლის ახალგაზრდა სოლისტი გიორგი კვიწინაშვილი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. რთული და მძიმე წლების მიუხედავად, ანსამბლმა მუშაობა განაგრძო და გიორგის სახელის უკვდავსაყოფად ანსამბლს „გიორგელები“ ეწოდა. ანსამბლის ხელმძღვანელი **ხვიჩა ზუბიაშვილი** არა მარტო ქართული ტრადიციების ერთგულებას და მომავალი თაობისთვის მის გადაცემას ემსახურება, არამედ ის საქველმოქმედო საქმიანობითაცაა დაკავებული. ის ფიქრობს, რომ ქართული ხალხური ცეკვების შესწავლა ემსახურება მოზარდის ფიზიკურ განვითარებას და ტრადიციების პატივისცემას. როგორც მასწავლებელს, უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია თითოეული მოსწავლის წინაშე. პედაგოგის პროფესიონალიზმზე მიუთითებს ისიც, რომ ამკვიდრებს ახალ, ორიგინალურ ცეკვებს, რაც სხვებისგან გამოარჩევს. ანსამბლის ხელმძღვანელი მეუფეს პირადად არ იცნობდა, მაგრამ უყვარდა და აფასებდა. ამიტომაც გაუჩნდა სურვილი, პატივი მიეგო მისი ხსოვნისთვის. ანსამბლისთვის არ იშურებს ენერგიას ამავე ანსაბლის წევრი ზურა ქავთარაძე, პირველი საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე, ის თავის ცოდნას უზიარებს თითოეულ ბავშვს, ეხმარება მათ განვითარებაში. ანსამბლის არსებობის ისტორიაში ბევრი საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდა, რომლის შედეგად შემოსული თანხაც სხვადასხვა დროს მოხმარდა წმ.ელია თეზბიტელის მამათა მონასტრის მშენებლობას, შშმ პირების რეაბილიტაციას, აგვისტოს ომში დაღუპული გმირების ოჯახებს, ლეიკემიით დაავადებული ბავშვების მკურნალობას.

წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მოსწავლემ მანანა წერეთელმა დამსწრე საზოგადოებას საკუთარი ჩანახატი წაუკითხა. მან გაიხსენა მეუფის სიცოცხლის პერიოდში მასთან პირველი შეხვედრა, სადაც საუკეთესოდ დახატა ეპისკოპოს დიმიტრის პორტრეტი. მანანამ კარგად გამოხატა ის სიყვარული, რასაც მეუფის მიმართ გრძნობდნენ მოსწავლეები მის სიცოცხლეში, ასევე ის ტკივილი და სევდა, რასაც განიცდიან ახლა, მეუფის გარდაცვალების შემდეგ.

ღონისძიების ორგანიზატორებმა და წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა მადლობა გადაუხადეს ასევე ხორნაბუჯისა და ჰერეთის დროებით მმართველს, ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლიტ თეოდორეს სითბოს, სიყვარულისა და გვერდში დგომისთვის, რითიც უმსუბუქდება ყველას მეუფის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი; მადლობა გადაუხადეს თეა სხირტლაძეს, წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის დირექტორს იმისთვის, რომ არ იშურებს ძალას, ენერგიასა და დროს სკოლის ასაღორძინებლად. მისთვის უმთავრესია იმ გზის ღირსეულად გაგრძელება, რომელიც ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ დაიწყო. სურს, რომ წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატი ერთ-ერთი საუკეთესო იყოს. მოსწავლეებმა მადლობა გადაუხადეს ასევე თამარ თამაზაშვილს, ნათელა თამაზაშვილს, ნანა ჭიღიტაშვილს, ნათია პოპიაშვილს, სკოლის დირექტორებს: ეთერ ოთარაშვილს, თამარ ქეთელაურსა და ლალი იაკობიშვილს. საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობდნენ ხალხური სიმღერის გუნდი „გორგასალი“, ანსამბლი „ხორნაბუჯი“, რომელთაც ქართული ხალხური ჰანგებით დაატკბეს მსმენელი.

საღამოს დასასრულს ამ დღის მნიშვნელობაზე ისაუბრა წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა **თეა სხირტლაძემ:**

„ძალიან ძნელია და თან საპასუხისმგებლო, რომ იდგე დღეს ამ სცენაზე და მეუფის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე სამადლობელი სიტყვა თქვა.

თითოეული ადამიანი იცნობდა თუ არ იცნობდა მას, ალბათ, ვერასოდეს ისაუბრებს მეუფეზე წარსულში. ამიტომ ჩვენთვის ძნელია აქ სიტყვით გამოსვლა. ძალიან დასაფასებელია დღევანდელი ღონისძიება, თითოეული ადამიანი, რომელიც მეუფისადმი სიყვარულს გამოხატავს. სიტყვით გამოხატულ სიყვარულთან ერთად, მნიშვნელოვანი და აუცილებელია საქმით გამოვხატავდეთ სიყვარულსა და პატივისცემას. დღევანდელი ღონისძიება ზუსტად ამის მაგალითი და დადასტურებაა. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ხვიჩას და ქალბატონ ციცო ყოჩიაშვილს ამ ღონისძიების ჩატარებისათვის და მეუფის სულის პატივისცემისთვის.

დიდი მადლობა ანსამბლის მონაწილე ბავშვებს. დარწმუნებული ვარ, ბავშვებმა მაქსიმალური გააკეთეს იმისათვის, რომ კარგი ღონისძიება ეჩუქებინათ ჩვენთვის. დიდი მადლობა წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებს და იმ მასწავლებლებს, რომლებმაც იშრომეს, რომ ესახელებინათ სკოლა, ესახელებინათ მეუფის სახელი. ამ ბავშვებს ძალიან კარგი და ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდათ მეუფესთან და მისგან ისწავლეს ერთგულება, სიყვარული, შრომისადმი პატივისცემა. მეუფე ამ ყველაფერს მათ ასწავლიდა არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც. დარწმუნებული ვარ, თითოეული მათგანი თავისი ცხოვრებით დაამტკიცებს, რომ ასახელოს სკოლა და ასახელოს მეუფის უკვდავი სული. ასეთი ღონისძიებები მნიშვნელოვანია და ჩვენ ყოველთვის მზად ვიქნებით გვერდში დგომისთვის, იმისთვის, რათა ვასახელოთ ჩვენი სკოლა, გამოვიტანოთ მისი სახელი და პატივი მივაგოთ მეუფის სულს. მეუფისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ჩვენს სკოლაში გაზრდილიყვნენ ნამდვილი მოქალაქეები, რომლებიც შემდგომში გამოადგებიან თავიანთ რაიონს, სამშობლოს და ეკლესიას. მადლობა დამსწრე საზოგადოებას დაუზარელი ოვაციებისთვის“.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხა, ხორნაბუჯისა და ჰერეთის დროებით მმართველს, ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლიტ თეოდორეს ინიციატივით, გარდაცვლილი მეუფე დიმიტრის მუზეუმის მშენებლობას მოხმარდება.

ინგა შიოლაშვილი

ანსამბლ „ჰერულას“ საქველმოქმედო ღონისძიებები

ანსამბლ „ჰერულას“ საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხა, რომელიც შესაწირი ყუთის საშუალებით შეგროვდა, ეკლესიას გადაეცა. ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლის გარდა „ჰერულამ“ კონცერტი გამართა ასევე სოფელ სამთაწყაროშიც. ცნობილია, რომ სამთაწყაროში ჰერეთიდან გადმოსახლებული ბევრი ქართველი ცხოვრობს. ამიტომ ანსამბლის მიზანი

იყო ტრადიციული სიმღერებით მოფერებოდა სამთაწყაროელებს და მათთან შემოქმედებითი კავშირები გაემყარებინა. ანსამბლის გასტროლის მხარდამჭერი კულტურის სამინისტროა.

გაზეთი „შირაქი“ სამთაწყაროში მოღვაწე სასულიერო პირებსაც ესაუბრა და ტაძრის მშენებლობის დეტალებით დაინტერესდა:

იღუმენი იაკობი **(სამთაწყაროს ტაძრის წინამძღოლი):** „პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო ყველას გვერდში დგომისთვის. რაც შეეხება საქველმოქმედო კონცერტს, სამწუხაროდ ვერ ვესწრებოდი გარკვეული მიზეზების გამო, მაგრამ ჩვენთვის ეს ღონისძიება უფრო დიდი სტიმულის მომცემი აღმოჩნდა. ამგვარი საზოგადოებრივი ინიციატივების დროს ორმაგად და სამმაგად ვძლიერდები ყველანაირად. მახარებს ის რომ ადამიანებში ჯერ კიდევ დიდი ერთობა და სიყვარულია. ბევრი სტუმარი ჩამოვიდა დედოფლისწყაროში, რათა ემღერა და საკუთარი წვლილი შეეტანა ამ კეთილ საქმეში. კონცერტიდან დაახლოებით 500 ლარზე მეტი შემოვიდა, კონვერტით გადმოგვცეს. გულწრფელად გითხრათ, შემოწირულობის რაოდენობას მნიშვნელობა არ აქვს, მერწმუნეთ, ადამიანმა ერთი ლურსმანიც რომ შემოგვწიროს, ისიც დასაფასებელია, მშენებლობის პროცესში ყველაფერი გამოგვადგება.

1989 წელს უწმინდესი სამთაწყაროში ბრძანდებოდა, მაშინ უთქვამს, აქ ავაგოთ ტაძარიო და ჯვარი აღმართეს. სწორედ პარტიარქის მიერ შერჩეულ ადგილზე დავიწყეთ მშენებლობა. თუ გახსოვთ, 2-3 წლის წინ საქართველოში ჩამოაბრძანეს წმინდა ქეთევანის წმინდა ნაწილები და ისე მოხდა, რომ იმ დროს ჩვენს ეპარქიაში მოუწია ჩამობრძანება. სწორედ მაშინ გადავწყვიტეთ, რომ ქეთევან დედოფლის სახელობის ტაძარს ავაშენებდით. მაშინ ვთხოვე მეუფე დიმიტრის, თუ იქნება თქვენი ლოცვა-კურთხევა, ავაგებთ ქეთევან დედოფლის სახელზე-მეთქი, ცხადია დაგვთანხმდა და დაგვლოცა. შემდეგ კი თავად ჩამობრძანდა და აკურთხა საძირკველი. სხვადასხვა შემოწირულობით და საკუთარი სახსრებით ვაშენებთ ტაძარს, ხალხის შეწევნით მიდის პროცესი“.

ილია მარტყოფლიშვილი

მულტიდისციპლინური კვლევა შირაქის ველზე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევით ბაზაზე, დედოფლისწყაროში, გაიმართა შირაქის საერთაშორისო მულტიდისციპლინარული სტუდენტური კვლევითი პროექტის შემაჯამებელი სემინარი, რომელიც განხორციელდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით „საერთაშორისო კვლევითი გამოცდილება სტუდენტებისთვის (აშშ)“ პროგრამის ფარგლებში. როგორც გაზეთ „შირაქს“ ილიაუნის დედოფლისწყაროს კვლევით ცენტრში აცნობეს, პროექტს ახორციელებს ბრიჯუოთერის სახელმწიფო უნივერსიტეტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და კალიფორნიის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად. პროცესში რამდენიმე ქვეყნის შესაბამისი სპეციალობების სტუდენტები იყვნენ ჩართულნი, რომლებიც ეტაპობრივად დედოფლისწყაროში ცხოვრობდნენ და შირაქის ველზე პრაქტიკულ სამუშაოებს ასრულებდნენ.

მიხეილ ელაშვილი (პროფესორი, ილიაუნის კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი): „შირაქის ველზე საერთაშორისო კვლევითი პროექტია, რომელიც სტუდენტების აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს. მონაწილეობენ როგორც ჩვენი ქართველი სტუდენტები, ისე უცხოელები. პროექტს ეწოდება „შირაქის საერთაშორისო მულტიდისციპლინური კვლევა“. კვლევის მიზანი შეიძლება მოკლედ ასე ჩამოყალიბდეს: წარსულში არსებული გარემოს და კლიმატის რეკონსტრუქცია, რომლის თავისებურებები და სხვაობა ამ კუთხეში ყველაზე მკვეთრად ჩანს. შირაქის ველზე ცივილიზაციის კვალი გვაქვს, რომელიც დაახლოებით 3000 წლის წინ ქრება. მნიშვნელოვანი ცვლილებებია კლიმატში, მცენარეულ საფარში. როგორც ჩანს აქ იყო ტყეები, ჩვენი კვლევები, რომელიც გამოქვეყნებულია, ადასტურებს შირაქის ველის ცენტრში ტბის არსებობასაც. ეს ყველაფერი გაქრა და მათ შორის ეს ცივილიზაციაც მოიშალა. მულტიდისციპლინური კვლევა ყველა ასპექტს, სხვადასხვა მიმართულებით გვაძლევს საშუალებას, გავაკეთოთ დასკვნები, თუ რა და როგორ მოხდა. ეს არ არის მხოლოდ წარსულის კვლევა. მოგეხსენებათ, კლიმატის ცვლილება ახლაც საკმაოდ აქტუალური გახდა, რადგან მეტი ცოდნა დაგროვდა. წარსულში მომხდარი ცვლილებები და ადამიანების რეაგირება მათზე, თუ პირიქით, კლიმატის ცვლილებების ხელშეწყობა, შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო მოსახლეობის რიცხობრივი ზრდით, გაფართოვდა მაცხოვრებელთა ოდენობა და ეკონომიკამ მოითხოვა ტყის გაჩეხვა. ეს ყველა წარსულის ფაქტორი ერთობლივად გვაძლევს საშუალებას, მოდელირება გავაკეთოთ, წარმოვიდგინოთ, რა შეიძლება მოხდეს მომავალში, როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ და მომავალი თაობები, რომ მზად შევხვდეთ მოსალოდნელ ცვლილებებს, მოვახდინოთ ცვლილებების შერბილება, ან ადაპტირება მათთან.

ამ ეტაპისთვის შირაქის ზეგანზე გათხრილია რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი. დიდნაურის ნაქალაქარი და მასთან დაკავშირებული სამაროვანი, თავისივე სასაფლაოთი. მეორე ძეგლია ნაზარლები, იქვე ფანტასტიური ბრინჯაოს ხანის სამლოცველოა, სადაც საოცარი რაოდენობის განძი აღმოჩნდა. ოქრო არ არის, მაგრამ 200-ზე მეტი ბრინჯაოს ხმალი და უამრავი სამკაულია ამოსული. ამ ორი ძეგლიდან საოცრად დიდი ინფორმაცია მივიღეთ მკვლევარებმა, რომელიც შირაქის ველზე არსებულ ცივილიზაციაზე გვიამბობს“.

გიორგი კირკიტაძე (გეოგრაფი): „შირაქის ველზე კვლევებს 2017 წლიდან ვატარებთ, ჩართულები არიან ქართველი და უცხოელი სტუდენტებიც, დედოფლისწყაროში ვახორციელებთ მიწის რამდენიმე შრის დაზვერვას, როგორც სატელიტური, ისე აეროგადაღების მეშვეობით. შემდეგ სტუდენტები საფეხმავლო დაზვერვას ახორციელებენ, მათ შორის ხნულებში... ამ ხნის მანძილზე გამოვლინდა რამდენიმე ახალი არქეოლოგიური ძეგლი. პირველ ეტაპზე ზედაპირულ სატელიტურ დაზვერვას ვიყენებთ, შემდეგ აეროგადაღების მასალის ანალიზს ვახდენთ და შემდეგ მონიშნულ საინტერესო მონაკვეთზე ფეხით გავლა ხდება. ამჯერად უკვე ჩვენი უცხოელი კოლეგების დახმარებით კვლევებში ჩავრთეთ გეორადარი, რომელიც გვაძლევს ღრმა ინფორმაციას, მიწის ქვეშ არსებული მონაცემების შესახებ. ასეთი კვლევა შირაქში ამ დრომდე არ მომხდარა, პირველად გავატარეთ რადარი“.

ქრისტინ ბრენდონი (აშშ-ს ბრიჯუოთერის უნივერსიტეტის პროფესორი, გეოლოგი): „შემიძლია თამამად ვთქვა, რომ შირაქის ველზე უძველესი ცივილიზაცია დაგვხვდა. ჯერ კიდევ 3000 წლის წინ ეს ველი სრულიად განსხვავებული იყო. სხვადასხვა სახის ტყე და აქვე ახლოს ტბა. გარშემო მიმოფანტული იყო ჩვენი საუკუნის ცივილიზაციისგან სრულიად განსხვავებული კულტურა. ვეცადეთ აღგვედგინა ეს მსოფლიო ცივილიზაცია, ვეხმარებით ერთმანეთს, რომ სრულად აღვადგინოთ აქ დამალული აგროკულტურა“.

რაიენ შერმანი (აშშ-ს საელჩოს კულტურული პროგრამების კოორდინატორი საქართველოში): „ეს არის ძალიან საინტერესო ტერიტორია მეცნიერული თვალსაზრისით, აღმოჩენების კუთხით. აქ ნაპოვნია საინტერესო ნივთები ქართველ და ამერიკელ სტუდენტთა ერთობლივი მუშაობით. ისინი ერთად გუნდური მუშაობით ბევრს სწავლობენ ერთმანეთისგან, უზიარებენ გამოცდილებას. აღმოჩენილია უძველესი ქალაქები, რომელთაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. სტუდენტები დედოფლისწყაროში მოდიან, შრაქის ველზე მუშაობენ, სწავლობენ. ეს არის საქართველოსა და ამერიკას შორის გადებული მეგობრული ხიდი“.

ჯასთინ ბენეთი (აშშ-ს ბრიჯუოთერის უნივერსიტეტის ეკოლოგიის მიმართულების სტუდენტი): „მართლაც საინტერესო პროექტია, ჩვენ აქ ილიას უნივერსიტეტმა მოგვიწვია და საზაფხულო პროექტის ფარგლებში ვიმუშავეთ. ბევრი საინტერესო ფაქტი აღმოაჩინეს, შირაქის ველზე ვნახეთ დიდი ცივილიზაცია. ჩვენი მიზანი იყო გვენახა, როგორ არის შეცვლილი ცივილიზაცია იმ უძველესი დროიდან დღემდე“.

მუიშა ჯექსონი (აშშ-ს ბრიჯუოთერის უნივერსიტეტის არქეოლოგიის სტუდენტი): „მეც პროექტის ფარგლებში ჩამოვედი შირაქის ველზე, ასევე ვნახეთ ღია ტბა, რომელიც ახლა დამშრალია. მოვედით რათა გვენახა ცივილიზაციის ელემენტები პალეოლითიდან. შირაქში დამარხული უნიკალური, უძველესი ნივთები ცვლიან ეპოქას. ჩვენ ვიკვლევთ, როგორ მოდიოდა იმ დროს ხალხი აქ საცხოვრებლად და როგორ, ან რატომ დატოვეს ეს ტერიტორიები, რატომ გაქრა ცივლიზაცია ამ ადგილას“.

შირაქის ველი, რომელიც ბრინჯაოს ხანის გამქრალი ცივილიზაციის აკვანია, მუდმივად და სწრაფად ცვალებად გარემოს წარმოადგენს, რომელსაც გაუდაბნოების საფრთხე ემუქრება. როგორც ილიას უნივერსიტეტში „შირაქთან“ საუბრისას განმარტავენ, ამ ტერიტორიაზე კაცობრიობის ადრეული ისტორიის რეკონსტრუქცია საერთაშორისო არქეოლოგიური, გეომორფოლოგიური, პალეოეკოლოგიური და მომიჯნავე კვლევების მონაცემთა ბაზების ფონზე, იყო შესაძლებლობა სტუდენტებისთვის, რომ მათ მონაწილეობა მიეღოთ კვლევაში და გაეღრმავებინათ თავიანთი ცოდნა თანამედროვე სამეცნიერო ტექნოლოგიების შესახებ.

ილია მარტყოფლიშვილი
თარგმანი რუსულიდან ნადირაშვილი

ზემოთხვევითობიდან – დიდ მწერლობამდე

/დასაწყისი გვ.3/

ეს გაზეთი მასწავლებლისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა, რომელიც მას კოლეგებმა სამასწავლებლოში მიართვეს. როგორც ლილი თაბაგარის შვილმა რუსუდან ტუხაშვილმა მოგვიანებით აღნიშნა, ეს დედამისისთვის საუკეთესო საჩუქარი იყო, რაც კი ყოფილი მოსწავლისგან მიუღია.

დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დირექტორმა ცარო მარტიაშვილმა, ეკატერინეს წიგნში შესული მოთხრობიდან „ბროლის ქალწული“, ნაწყვეტი წაიკითხა, რომელიც არამხოლოდ მისთვის, არამედ დამსწრე საზოგადოებისთვისაც საოცრად ემოციური აღმოჩნდა.

ბავშვთა ვოკალურ-საკრავიერმა ანსამბლმა, **გელა გველუკაშვილის** ხელმძღვანელობით, მუსიკალურად გააფორმა წიგნის პრეზენტაცია. ეკატერინე ფავლენიშვილმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა გელა გველუკაშვილს, რომელმაც სტიმული მისცა და „წააქეზა“, რომ ფეისბუქ-პოსტები ერთ წიგნად შეეკრა.

წიგნის ავტორის ბავშვობასა და შემოქმედებაზე ისაუბრეს მისმა უახლოესმა ადამიანებმა და პედაგოგებმა:

ოლიკო კიკილაშვილი, **პედაგოგი:** „ეკა ჩემი ნამოწაფარია და თავიდანვე ასეთი მიზანდასახული და ნიჭიერი იყო. მიხარია, რომ მან იმედები გამიმართლა და დღეს ვესწრები მისი წიგნის წარდგენას. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი გულანთებული საუბრობს წიგნის პერსონაჟებზე, ეფერება თითოეულ მათგანს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ თავისი მოთხრობებით მთელ საქართველოში გვამოგზაურებს. “

ლია ქადაგიძე, **პედაგოგი:** „დღეს შთამბეჭდავი დღეა, მაგრამ არანაკლები სიხარულით და შთაბეჭდილებებით სავსე იყო ეკას შეხვედრა პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. ეს არ იყო უბრალოდ შეხვედრა მწერალთან. ეს იყო ზიარება წიგნთან, ზიარება სიტყვასთან. ამაში დამემოწმებიან ჩემი მოსწავლეები, რომლებიც დღევანდელ შეხვედრასაც ესწრებიან. ეს არა მხოლოდ პატარებისთვის იყო ზნეობის გაკვეთილი, არამედ უფროსებისთვისაც. მადლობას ვუხდი ეკას ამ ყველაფრისთვის და ასევე იმ სურვილისთვის, რამაც წერა დააწყებინა. “

ინგა შიოლაშვილი, **გაზეთ „შირაქის“ დირექტორი:** „თითოეული ჩვენგანისთვის დიდი პატივია ეკას წიგნის წარდგენაზე მოსვლა. ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი გაზეთი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ინტერვიუ ჩამოართვა ეკას და წიგნის დაბადება ამცნო მკითხველს. ვამაყობ თითოეული მისნაირი დედოფლისწყაროელით, რომელთაც ჩვენი მუნიციპალიტეტის სახელი დედოფლისწყაროს გარეთ გააქვს. ეკას ინტერვიუსთან ერთად გაზეთში დაიბეჭდა მისი მოთხრობა „ბროლის ქალწული“, რომელმაც რეზო ინანიშვილის სახელობის პრემია მიიღო. ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ და ყველას ჩვენი მშობლების, წინაპრების დანატოვარი სითბო, სიკეთე და მადლი დაგვაქვს. მიხარია, რომ ეს სითბო, სიკეთე და ზნეობის მაგალითები ლაიტმოტივად მიჰყვება თითოეულ მის მოთხრობას. ნათქვამია, რომ ადამიანს, ისევე როგორც ქანდაკებას, მხოლოდ ერთი მხრიდან არ უნდა შეხედო. მას გარშემო უნდა შემოუარო და უარყოფითთან ერთად, უფრო მეტი დადებითი ეძიოო. ესაა სწორედ საწუთროს მარგალიტები. ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც მის მოთხრობებში, ასეთი მარგალიტები, მადლობა ღმერთს, მრავლადაა. წიგნად აკინძული კი უკვე მარგალიტების საბადოა. მისი ნაწარმოებები განეკუთვნება ქართული ლიტერატურის შედარებით ახალ ჟანრს-დოკუმენტურ პროზას, სადაც ფაქტები გამდიდრებულია მწერლის წარმოსახვით. წარმატებები ეკას და ვისურვოთ, რომ შემდეგი შეხვედრა ახალი წიგნის პრეზენტაციაზე შემდგარიყოს“.

როგორც ეკამ არაერთხელ აღნიშნა, მწერლობაში ფეხი მოულოდნელად შედგა. მიიჩნევს, რომ ყველაფერი ღვთის ნებაა. „ნახევრად შემთხვევით, მოვლენების მძივებივით ასხმის შედეგად, ორ ლიტერატურულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა. „შემთხვევით“ იმიტომ, რომ მწერლობა არასოდეს უფიქრია, „ნახევრად“ კი იმიტომ, რომ უფლის გარეშე თმის ღერი არ გვივარდება თავიდან“. მაგრამ პროზაიკოსებისა და ხალხის რეაქციამ ის დაარწმუნა, რომ წერა უნდა განაგრძოს. სამწერლო ასპარეზი მისთვის უკვე ღიაა...

ინგა შიოლაშვილი
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ლაშა ბექაურის ბრინჯაო ტოკიოს გრანდ სლემზე

ტოკიოში, იაპონიის გრანდ სლემზე, რომელიც ერთ-ერთ პრესტიჟულ ტურნირად ითვლება. იაპონიის მთავარ ქალაქში წელს საქართველოდან სპეციალური მიწვევით ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს მესამე პრიზიორი **ლაშა ბექაური** (90 კგ) ჩავიდა, ხოლო ქალთა გუნდი ხუთი ძიუდოისტის შემადგენლობით გაემგზავრა. ბექაურმა ჯერ კორეელთა მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **დონ ჰან გვაკი** დაამარცხა, შემდეგ მასპინძელთა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **სოიჩირო მუკაის** მოუგო, მაგრამ ნახევარფინალში ასევე მასპინძელ **კასუკე მაშიიამასთან** „ოქროს დროში“ დამარცხდა და მესამე ადგილისთვის **მიშუ ბეიკერს** დაეჭიდა. დედოფლისწყაროელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა იაპონელი დაამარცხა და ამჯერად ბრინჯაო ირგუნა. ცნობისთვის: ტოკიოში საქართველოც ხალვათად იყო წარმოდგენილი. აქცენტი უფრო ქალთა ტურნირზეა გადატანილი, ვაჟებში კი მარტო ლაშა ბექაურია პერსონალურად მიწვეული ორგანიზატორთა მიერ. ეს პირველი პრეცედენტია, როცა ქალთა ნაკრები იაპონიაში წავიდა.

20-22 დეკემბერს იერუსალიმი მასტერსს უმასპინძლებს. წლის შემაჯამებელ ტურნირში მონაწილეობის უფლება მხოლოდ წონის რეიტინგის პირველ 36 ჯუდოკას აქვს. სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილებით, საქართველოს ნაკრები ისრაელს 16 მებრძოლით ეწევა. დედოფლისწყაროდან ორი სპირტსმენია წარდგენილი: -60 გიორგი სარდალაშვილი და -90 ლაშა ბექაური.

საბა ბუთხუზი სანდას ისტორიაში პირველი მსოფლიო ჩემპიონია

საქართველოს უშუს ეროვნული ნაკრების წევრი უშუისტი საბა ბუთხუზი ინდონეზიის ქალაქ ტანგერანგში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებულია. 9 დეკემბერს დედოფლისწყაროს უშუს გუნდის წევრმა 14 წლის საბა ბუთხუზმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ფინალურ შეხვედრაში ქართველმა სპორტსმენმა ჩინეთის წარმომადგენელი მაკაო დაამარცხა.

მანამდე საბამ ნახევარფინალში კანადელ სპორტსმენს სძლია, რის შემდეგაც ფინალში მოხვდა. 7 დეკემნერს საბა ბუთხუზმა საუდის არაბეთის სპორტსმენი დაამარცხა და ამით მინიმუმ ბრინჯაოს მედალი გაინაღდა. შემდეგი ბრძოლების წაგების შემთხვევაში ის მსოფლიო ჩემპიობნატის პრიზიორი მაინც გახდებოდა და სამშობლოში ბრინჯაოთი დაბრუნდებოდა.

უშუ სანდას ისტორიაში საბა ბუთხუზი პირველი მსოფლიო ჩემპიონია.

საქართველოს ეროვნული ნაკრებიდან სულ 5 სპორტსმენი გაემგზავრა, ოქროს მედალი მხოლოდ საბა ბუთხუზმა მოიპოვა, დანარჩენი უშუისტები ტიტულის გარეშე დაბრუნდნენ.

14 წლის სპორტსმენი რამდენიმე კვირის წინ საბერძნეთშიც იმყოფებოდა, სადაც ევროპის ჩემპიონიც გახდა.

დედოფლისწყაროს პირველობა მკლავჭიდში

3 დეკემბერს 18 წლამდე სპორტსმენებს შორის დედოფლისწყაროს პირველობა გაიმართა მკლავჭიდში. ორივე ხელით გამოსვლებში ორჯერ ჩემპიონები გახდნენ: 60კგ - ნიკიტა ნიპომნიშევი, 70კგ – ვალერი ყოჩიაშვილი, 75 კგ - თორელ ცისკარაული, 85კგ – დიმიტრი პუტი.

ჩემპიონები მარცხენა ხელით გადაწევაში: 55კგ - ლევან შეითნიშვილი, 65კგ - რატი კოჭლამაზაშვილი, 80 კგ - ვაკო მოსაშვილი; ხოლო ჩემპიონები მარჯვენა ხელით გადაწევაში გახდნენ 50კგ - არჩილ წიკლაური, 55კგ - ირაკლი ნაროზაული, 65კგ - ნიკა მაქსიმენკო, 80კგ - მიხეილ ბაღდასარიანი;

დაჯილდოვებაზე მხოლოდ ორი თასი გაიცა, **TOP** კატეგორიაში მარჯვენაში ვალერი ყოჩიაშვილმა, ხოლო მარცხენაში ვაკო მოსაშვილმა იმარჯვა.

„მკლავჭიდის წრე მხოლოდ ოზაანში მოქმედებს, სადაც ჯამბულ გიგოლაშვილი ამზადებს, ამასწინათ მათ უკვე გამართეს შეჯიბრი. ამჯერად კი დედოფლისწყაროს პირველობა ჩავატარეთ მოხალისეთა შორის, ანუ ეს კატეგორია მკლავჭიდში არ ვარჯიშობს, მეორე საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებლის გელა დავითაშვილის იდეა იყო, რომ ასეთი შეჯიბრი გამართულიყო და მხარში დავუდექით. საინტერესო აქტივობა გამოვიდა და დიდი დაინტერესება გამოიწვია, ბევრი ახალგაზრდა მონაწილეობდა,“ – უთხრა „შირაქს“ სპორტის ცენტრის დირექტორის მოადგილე გიორგი ცისკარაულმა.

ვაკო მოსაშვილი: „სპორტზე 6 წლის ასაკიდან დავდივარ, თავიდან ვარჯიში იმდენად არ მომწონდა, მაგრამ ახლა ენთუზიაზმი მომემატა და ისე ვარ, თავს ვერ ვანებებ. პირველ ეტაპზე ჭიდაობასა და უშუს გუნდებში დავდიოდი, მაგრამ ახლა მხოლოდ სახლში, განტელებზე და შტანგაზე ვვარჯიშობ. ჭიდაობაზე 6 წელი, სანდაში კი 2 წლის განმავლობაში ვემზადებოდი. მინდა MMA-ში გადავიდე და იქ გავაგრძელო. ორგზის საქართველოს ჩემპიონი უკვე ვარ, სამომავლოდ UFC-ში მოხვედრაა ჩემი მიზანი. ვეცდები ამ მიმართულებით განვვითარდე.. ხელის გადაწევაც ყოველთვის კარგად გამომდიოდა, რის გამოც დარწმუნებული ვიყავი, რომ საპრიზო ადგილზე გავიდოდი და ამიტომ გავედი შეჯიბრზე. ხუთი ბრძოლა ჩავატარე და ხელი ვერავინ გადამიწია, ყველა კატეგორიაში გავიმარჯვე. მარჯვენა ხელი დაზიანებული მქონდა და არც მიცდია, თორემ გამარჯვებას სხვა კატეგორიაში მოვიპოვებდი.“

კიკბოქსინგის დარბაზის ასაშენებლად ტენდერი მეორედ გამოცხადდა

კიკბოქსინგის გუნდ „ჩემპიონს“ ჩვენი გაზეთის მკითხველი კარგად იცნობს, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სპორტული ცხოვრება აქვთ, რის გამოც თითქმის ყოველთვიურად გვიწევს მათზე საგაზეთო სტატიების მომზადება. 30 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე წელს კიდევ ერთხელ ითქვა მთავარი დაპირება, რომ თამაზ ყარაგვეზაშვილს თაობების აღსაზრდელად ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული დარბაზი უნდა ჰქონდეს. ამისათვის დაახლოებით მილიონი ლარი უნდა დაიხარჯოს. თავდაპირველად დარბაზის ასაშენებლად კულტურის სახლის შენობის უკან, ბაზრის მხარეს მდებარე ეზო შეირჩა, სადაც მშენებლობა უნდა დაწყებულიყო, თუმცა ვინაიდან აქ ბორცვია, ლოკაცია შეიცვალა და ამჯერად ცენტრალური სტადიონის ეზოში, პირველი საჯარო სკოლის მხარეს არსებული მიწის ნაკვეთი შეირჩა.

რამდენიმე კვირის წინ გაირკვა, რომ დარბაზის ასაშენებლად 1 ნოემბერს პირველად, გამოცხადებული ტენდერი არ შედგა და ვერ გამოვლინდა კომპანია, რომელიც სამშენებლო სამუშაოებს დაიწყებდა. ამიტომ, ტენდერის ხელახლა გამოცხადების აუცილებლობა დადგა. ტენდერის ჩავარდნის შემთხვევები იშვიათი არ არის, თუმცა ეს პროექტის განხორციელების პროცესს აჭიანურებს.

„შირაქის“ ინფორმაციით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მოქმედმა სატენდერო კომისიამ მიმდინარე წლის 2 დეკემბერს კიდევ ერთხელ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. როგორც სატენდერო დოკუმენტაციაშია ნათქვამი, გამოყოფილია 987 610 ლარი. მშენებელი კომპანიების შეთავაზებების მიღება დაიწყება 18 დეკემბრიდან და 23 დეკემბერს დასრულდება.

პირობების თანახმად, კომპანიას ორსართულიანი დარბაზის ასაშენებლად ხელშეკრულების გაფორმებიდან 270 კალენდარული დღე ექნება.

კლუბ „ჩემპიონს“ საკუთარი დარბაზი და სპორტული ინვენტარი არასოდეს ჰქონია. მრავალი წლის განმავლობაში ე.წ. „გაერთიანების“ ძველი შენობის სარდაფში ვარჯიშობდნენ, ინვენტარის მაგივრობას კი კუსტარულად დამზადებული ნივთები ასრულებდნენ. 30 წლიანი ისტორიის განმავლობაში, ნებისმიერ ეტაპზე თამაზ ყარაგვეზაშვილი აღნიშნავდა, რომ დარბაზი მისი აუხდენელი ოცნება იყო. ხელისუფლებამ მხოლოდ ახლა დაიწყო მისი ამ ოცნების ხორცშესხმა. მითუმეტეს, რომ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც ერთხანს სწორედ ამ კლუბში ვარჯიშობდა.

გაზეთი „შირაქი“ კიკბოქსინგის მწვრთნელს შეხვდა და დარბაზის მშენებლობის დეტალებზე ესაუბრა. შევეცადეთ გაგვერკვია, რომელი ადგილმდებარეობა უფრო მისაღებია მათთვის და რატომ შეიცვალა პროექტის ლოკაცია.

„ვფიქრობ, სტადიონის ეზოში მშენებლობის დაწყება უფრო კარგი ვარიანტია. ამ შემთხვევაში მეტი ფართია და მოედანსაც გამოვიყენებთ. ასევე, ზაფხულის შეჯიბრის პროექტებს სახეს შევუცვლი. მთავარია, კარგი მისასვლელი გაუკეთდეს, რომ ბავშვებისთვის ადვილი რომ იყოს დარბაზში მოხვედრა. როგორც ამიხსნეს, კულტურის სახლის უკან რომ აშენებულიყო, პროექტი ძალიან ძვირდებოდა, იქ გორაა, დამრეცი ადგილია, შენობას კი გარშემო საქვაბე, პარკირება, სახანძრო ზოლი და ათასი დეტალი უნდა. თითქმის ყველა რეგიონს ახალი ბაზა აქვს და ერთი თაობით გვისწრებენ. ჩვენ კი შესაბამისი დარბაზის არარსებობის გამო გვირთულდება შედეგების დადება. სხვა კლუბებმა გაგვასწრეს. მეგონა ივნისში დარბაზი უკვე ჩაგვბარდებოდა და ტენდერი თუ ჩავარდა და ხელახლა ცხადდება, გამოდის, კიდევ გადაიწევს. სანამ მშენებლობა დასრულდება და თაობებს გავზრდით, შედეგის მიღებაც გადაიწევს. ამიტომ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, დროულად ჩაგვბარდეს შენობა. კარგი იქნება, რომ პროცედურები მალე დასრულდეს და ოპერატიულად აშენდეს დარბაზი. ამით ჩვენი დიდი ხნის მთავარი ოცნება ასრულდება,“ – უთხრა „შირაქს“ თამაზ ყარაგვეზაშვილმა.

სპორტული მიმოხილვა მოამზადა

ილია მარტყოფლიშვილმა

ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის საერთაშორისო ფონდმა დაჯილდოვა

ჩვენი მკითხველისთვის კარგად ცნობილ საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, დედაუნივერსიტეტის გამოჩენილ კურსდამთავრებულთა ოქროს მედლის მფლობელს, ღირსების ორდენის კავალერს, ქალბატონ ნანა ჭიჭინაძეს ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის საერთაშორისო ფონდმა ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ლაურეატის წოდება მიანიჭა. ჯილდო მას ფონდის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, საერთაშორისო კულტურისა და მეცნიერების ოქროს ორდენის კავალერმა, სამგზის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, პროფესორმა გურამ ქაშაკაშვილმა გადასცა. ფონდის პრეზიდენტია მარინა მაჭავარიანი-ანჯაფარიძე.

ოფიციალურად ეს დაჯილდოვება ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წითელ დარბაზში შედგა. დედოფლისწყაროს საზოგადოების წინაშე კი ამ ჯილდოთი ქალბატონი ნანა 9 დეკემბერს, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ეკატერინე ფავლენიშვილის წიგნის პრეზენტაციაზე გამართულ ღონისძიებაზე წარსდგა. საზოგადოების წინაშე მას ჯილდო გაზეთ „შირაქის“ დირექტორმა ინგა შიოლაშვილმა გადასცა. ნანა ჭიჭინაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მისი სიხარულის გაზიარებისთვის.

რა გახდა 35 წლის მამაკაცის გაუჩინარებისა და გარდაცვალების მიზეზი?

დედოფლისწყაროში მცხოვრები 35 წლის მამაკაცი 2021 წლის 18 სექტემბერს დაიკარგა, სამაშველო სამსახური და მოხალისეთა ჯგუფები მას 22 დღის განმავლობაში ეძებდნენ, თუმცა უშედეგოდ. ცხედარი 22-ე დღეს შემაღლებულ გორაზე სანადიროდ გამოყვანილმა ძაღლმა იპოვა. თვითმხილველებმა საპატრულო პოლიციას აცნობეს. ცნობილია, რომ ბოლოს მამაკაცი ჩალაუბნის გამშვებ პუნქტთან იდგა და დედოფლისწყაროში დაბრუნებას ცდილობდა, შებინდებისას ვერაფერს გამოჰყვა და უკან გაბრუნდა. საბოლოოდ მისი გვამი საგარეჯოს სოფელ მზისგულში აღმოჩნდა, რომელიც გურჯაანის სოფელ კაჭრეთს ესაზღვრება. გაზეთი „შირაქი“ შეეცადა გაერკვია, რა გახდა მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი და როგორ აღმოჩნდა ის გურჯაანიდან საგარეჯოში, თუ დედოფლისწაროში ჩამოსვლას ცდილობდა. აღმოჩნდა, რომ ოჯახს პასუხგაუცემელი კითხვები არ აქვს, ისინი არც მკვლელობისა და თვითმკვლელობის ვერსიებს განიხილავენ და არც ვინმეს დასჯას ითხოვენ.

ახლობლები ყვებიან, რომ ლევან ბეჟაშვილი თბილისში სამუშაოსთან დაკავშირებით იყო წასული, პანდემიის გამო ტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდული იყო. ირკვევა, რომ ამ დროს მამაკაცმა მობილური ტელეფონი დაკარგა, ამდენად ოჯახთან ბოლო კომუნიკაცია უცნობებისგან ნათხოვარი ტელეფონით ფიქსირდება. ბოლოს დედას დაურეკა და აცნობა, რომ სოფელ ჩალაუბანში იმყოფებოდა და სახლში დაბრუნებას უტრანსპორტობის გამო ვერ ახერხებდა. ოჯახის ნათესავი ავტომანქანით გაემართა, თუმცა ადგილზე მისულს იქ არავინ დახვედრია, ჩათვალეს, რომ წავიდა. სინამდვილეში მამაკაცი არა დედოფლისწყაროსკენ, არამედ პირიქით, უკან – თბილისის მიმართულებით . მისი კვალიც ამის შემდეგ იკარგება.

ოჯახი თვითმკვლელობის ვერსიას კატეგორიულად გამორიცხავს და ამბობს, რომ ლევანს სასიკვდილო არაფერი სჭირდა. მათივე თქმით, გარდაცვალებას ვერც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოიწვევდა. გარდაცვლილის დედა ასევე დარწმუნებულია, რომ მისი ერთადერთი შვილი არავის მოუკლავს და დანაშაულს ადგილი არ ჰქონია. ნათელა ბუჩუკური ცხედრის აღმოჩენისთანავე ვარაუდობდა, რომ მის შვილს გზა აებნა, ღამით ტრანსპორტი ვერ იშოვნა და გორაზე მიმართულების აღსაქმელად ავიდა. პირველ ეტაპზე დედა ფიქრობდა, რომ მამაკაცი გარეულმა ცხოველებმა დაგლიჯეს. თუმცა, ახლა გამოძიების მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე ბუჩუკური „შირაქს“ ეუბნება, რომ გარდაცვალება ძილში დაბალმა ტემპერატურამ გამოიწვია.

ნათელა ბუჩუკური: „18 სექტემბერს რომ დამირეკა, ასე მითხრა, საღამოს სახლში ვიქნებიო. მერე უკვე თერთმეტის ნახევარზე მეგობართან დაურეკია, ვერავის მოვყვები და ისევ თბილისში წავალო. ალბათ იფიქრა, იქიდან იოლად გამოყვებოდა დედოფლისწყაროს ტრანსპორტს. ჩალაუბნიდან უკან რომ წავიდა, როგორც ჩანს დაიბნა, ტრანსპორტიც ვერ ნახა, გზიდან გადავიდა და მაღალ გორაზე ავიდა. მიჭირს ამ ყველაფრის გახსენება და გადმოცემა, მაგრამ დაღლილს ალბათ ჩაეძინა. როგორც გამომძიებლებმა მითხრეს, ძილში ტემპერატურის დაცემამ გამოიწვია გარდაცვალება. ასე წერია ექსპერტიზის დასკვნაში. გამომძიებლები ლევანის ახლო მეგობრები იყვნენ და ისინიც დაინტერესებულნი არიან სიმართლის დადგენით, ამიტომ მე ძალიან ვენდობი მათ ნათქვამს. ყველა პროცესში მისი მეგობრები იყვნენ ჩართულნი. სამძებრო სამუშაოებშიც და გამოძიების დეტალებშიც. ეჭვის საფუძველი არ მაქვს, გამორიცხულია ძალადობას ჰქონოდა ადგილი, ვინ უნდა დაესაჯა გამოძიებას, როცა ჩემი შვილი არავის მოუკლავს. აბსოლუტურად არანაირი დაზიანება არ ყოფილა, რაც სიკვდილს გამოიწვევდა. ბოლო დროს დაბალი წნევა კი ჰქონდა, მაგრამ ჯანმრთელი იყო. რომც მოეკლათ და ეს ვერსია დავუშვათ, იმდენად მაღალ გორაზე იპოვეს, რომ შეუძლებელია იქ ვინმეს გვამი აეტანა. ვერც დრონებმა ვერ დააფიქსირა ეს ადგილი და ვერც მაშველები მიუდგნენ. ძიებამ შედეგი არ მოგვცა. 10 ოქტომბერს იმავე სოფლიდან მონადირეები ყოფილან წასული, თურმე ძაღლი გაიქცა, გორაზე ავიდა და აღარ ჩამოდიოდა. ეძახდნენ, მაგრამ არ ბრუნდებოდა, მერე ბიჭებიც ასულან და შეშინებულები ჩამოვიდნენ, ისეთი სურათი უნახავთ. ჩვენ ცხედარი არ გვინახია, მაგრამ სახე დაზიანებული ჰქონიაო, ვარაუდობენ, რომ ფრინველებმა დააზიანეს ამ სამი კვირის განმავლობაში. სწორედ მონადირეებმა დარეკეს 112-ში. ერთ-ერთი თვითმხილველი ბიჭის დედა სამრეკლოელია და მოგვიანებით მათ გვითხრეს, ჩვენ ვიყავით იმ ადგილას და ჩვენმა ძაღლმა მიაგნოო. დალევა უყვარდა, მეგობრებთან ყოფნა და ძალიან თბილი ბიჭი იყო, ამიტომ, როგორც გავიგე, ღვიძლთან დაკავშირებით რაღაც წამალს სვამდა. ეს მე არ ვიცოდი, მიმალავდა და გვიან გავიგე, რომ ც ჰეპატიტის პროგრამაში იჯდა. მეტყოდა ხოლმე, ამ წამალს რომ ვსვამ, მოვითენთები და ძილი მომერევა ხოლმეო. ძალიან მხიარული და გახსნილი იყო, არანაირი დეპრესია არ ჰქონდა, რომ თვითმკვლელობაზე ეფიქრა. საამისო არაფერი სჭირდა. მე მედიცინის მუშაკი ვარ და ეს არ გამომეპარებოდა. მეუღლეც გარდაცვლილი მყავს, ეს ერთადერთი შვილი მყავდა, მე და ლევანი მარტო ვცხოვრობდით და კარგად ვიცნობდი ჩემი შვილის ხასიათს. მუშაობა არ ეზარებოდა, ჯერ არქეოლოგიურ გათხრებზე მუშაობდა, ბოლო ხანს „ფრონტერას“ ნავთობკომპანიაშიც იმუშავა. აღარ მინდა ამ თემაზე ბევრი ვისაუბრო, ვინც საჭირო იყო, ყველა ჩაერთო და ყველა საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა“.

ილია მარტყოფლიშვილი

მილიონერთა კლუბი – 10 ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი

ფიფას მსოფლიო ჩემპიონატის ზოგიერთი ფეხბურთელი ყოველწლიურად რამდენიმე მილიონ დოლარზე მეტს გამოიმუშავებს.

ფეხბურთი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი სპორტია. ლეგენდარული მოთამაშეები უამრავი ბავშვის მისაბაძი მაგალითები არიან. მათ ისტორიას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ის ფაქტი, რომ ფეხბურთის უამრავმა კერპმა, წარმატებისკენ მიმავალი გზა საოცარი გაჭირვებიდან დაიწყო.

ფეხბურთელები, რომლებმაც მათი უნარების განვითარებაში წარმოუდგენელი შრომა ჩადეს, დღეს მილიონერები არიან და ამასთანავე, მილიონობით გულშემატკივარს შთააგონებენ.

წარმოგიდგენთ კატარში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელთა შორის 10 ყველაზე მდიდარ ვარსკვლავს:

***ანტუან გრიზმანი – საფრანგეთი (29 მილიონი დოლარი)**

***კევინ დე ბრუინი – ბელგია (29 მილიონი დოლარი)**

***რაჰიმ სტერლინგი – ინგლისი (29,4 მილიონი დოლარი)**

***რობერტ ლევანდოვსკი – პოლონეთი (34 მილიონი დოლარი)**

***ედენ აზარი – ბელგია (37,9 მილიონი დოლარი)**

***გარეტ ბეილი – უელსი (43 მილიონი დოლარი)**

***ნეიმარი უმცროსი – ბრაზილია (91 მილიონი დოლარი)**

***ლიონელ მესი – არგენტინა (110 მილიონი დოლარი)**

***კრისტიანუ რონალდუ – პორტუგალია (113 მილიონი დოლარი)**

***კილიან მბაპე – საფრანგეთი (125 მილიონი დოლარი)**

კროსვორდი



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. არგენტინის პირველი ლედი 1946 წლიდან გარდაცვალებამდე ევიტა ... 2. მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება როდოსის ... 3. გამარტივებული ინგლისური ენა 4. იმპრესიონისტი პიერ ოგიუსტ ... 5. ჩანჩქერი აშშ-სა და კანადის საზღვარზე 6. წარწერა საფლავის ქვაზე 7. მდინარე,რომელიც ციმბირის ცენტრად არის მიჩნეული 12. ჰამლეტის მონოლოგის ატრიბუტი 13. მოსამართლე აღმოსავლეთის ქვეყნებში ძველად 14. მდინარე დას. საქართველოში. ცნობილია თეთრი ქვები 15. სოფელი დუშეთის რაიონში ზემო ... 17. ბუზი, რომლის კბენაც იწვევს ძილის დაავადებას 18. პირველი ძაღლი, რომელიც გაუშვეს კოსმოსში 1957 წლის 3 ნოემბერს 20. ერთადერთი ფრინველი,რომელსაც ნესტოები ნისკარტის წვეტში აქვს განთავსებული 21. ქირურგიული დანა 23. რა გემოს აძლევს წყალს სუფრის მარილი 24. როკ-ჯგუფი, რომელიც შექმნა ფაროჰ ბულსარამ (ფრედი მერკური 25. რის შესაქმნელად გამოიყენებს ორგანიზმი კალციუმის მარილებს 27. კუზიანი ხარი,გავრცელებულია აზიაში 28. ზღაპრული ცხენი 30. ჩინეთში ,,კულტურული რევოლუციის'' ავტორი 32. ყვავილი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 3. მწერალი, რომლის მოთხრობის მიხედვითაც გადაიღეს ქართული ფილმი ,,ქვევრი'' 8. იმპერატორი, რომლის უკანასკნელი სიტყვები იყო - „რა მსახიობი ვკვდები'' 9. სანელებელი, რომლის ნაყენი ორგანულ ცხიმებს წვავს 10. პალმის ნაყოფი, რომელსაც ''რძე'' მხოლოდ მკვახე მდგომარეობაში აქვს 11. ტბა აფრიკაში. 1964 წლიდან მიმდინარეობს დავა ეწოდოს სახელწოდება - მალავი 13. ნახევარკუნძული, რომელიც აზოვის ზღვას შემოფარგლავს 16. პალმა, რომელსაც აქვს მოკლე ტანი და გიგანტური ფოთლების ვარჯი 17. კვერცხის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მდიდარია ჯგუფის ვიტამინებ19. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი. ცხოვრობდა კასრში 20. ლითონი, რომელიც ძლიერი ყინვის დროს გადაქცევა შავი ფერის ფხვნილად, რის გამოც მორჩილული ნივთები იშლება 22. რა მასალა გამოიყენა ტოუსომ ქანდაკებებისათვის 23. ერთ-ერთი პირველი ქართველი ტელედიქტორი ლია ... 26. დედაქალაქი მდინარე დუნაზე 27 ... ,,მეფე-...'': ჩამოასხეს რუსეთში XVIII საუკუნეში. იწონის 202 ტონას. პირდაპირი დანიშნულებით არასოდეს გამოუყენებიათ 29 .იაპონელებმა ამ ტაიფუნს ,,ღმერთების ქარი'' ანუ ,,...'' უწოდეს, რადგან მან ჩინელების გემები ჩაძირა 30. I პირის ნაცვალსახელი 31. მეზღვაურთა მაუდის კურტაკი 33. ქალაქი ჩინეთში. სიტყვასიტყვით ,,ჩრდილოეთის დედაქალაქს'' ნიშნავს 34. თურქი მწერალი ... ბაიდარი

ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საშუალო სკოლის 1988 წლის კურსდამთავრებულები თანაგრძნობას უცხადებენ დავით ბეჟანიშვილს მამიდაშვილის

ნუგზარ ოგბაიძის

გარდაცვალების გამო.

აუქციონზე გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი კვ.მ.	საკადასტრო კოდი	საწყისი საპრივატიზებო ფასი (ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასი (%)	„ბიჯი“ საწყისი ფასი (%)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	სოფელი ზემო მაჩხაანი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	150 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	52.01.33.245	2 000	10%	5%	100
2	სოფელი ხორნაბუჯი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	4436 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	52.06.34.131	15 000	10%	5%	100
3	ქალაქი დედოფლისწყარო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	62 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	52.08.33.395	1 200	10%	5%	100
4	ქალაქი დედოფლისწყარო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	8400 კვ.მ. მიწის ნაკვეთი	52.08.37.186	25 000	10%	5%	100
5	ქალაქი დედოფლისწყარო	N1 შენობა-ნაგებობის მეორე სართული	129,6 კვ.მ. (N1 შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული ფართი)	52.08.35.255	30 000	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 15 00 სთ-ზე.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1 განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;

1. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222;

კოდი - 300 533 313 (არასაცხოვრებელი შენობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი)

კოდი - 300 533 390 (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი)

3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40
საუქციონო კომისია

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2023 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი.
გამოწერის ღირებულება მთელი წლით 20 ლარია,
ხოლო 6 თვით - 10 ლარი.

გამოიწერეთ და სახლში მიიღეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყვეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება ქალაქ დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქუჩაზე „საქართველოს ბანკის“ კორპუსში სამოთახიანი საცხოვრებელი ბინა, ორი აივნით.
ტელ: 577 95 83 59.

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 12.12		სამშაბათი 13.12		ოთხშაბათი 14.12		ხუთშაბათი 15.12		პარასკევი 16.12		შაბათი 17.12		კვირა 18.12	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
4°	−2 °	4°	−2°	8 °	0°	10°	1°	10°	1 °	9°	1 °	8 °	0 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი